საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა

№155
(12 225)

4 ივლისი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ინტერვიუ

კახა კალაძე ახალ ამპლუაში

ჯერ ფეხბურთი, მერე ამერიკა და პოლიტიკა

ეროვნული ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე, შესაძლოა, პოლიტიკაში ვიხილოთ – ეს ინფორმაცია პირველად ამ რამდენიმე დღის წინათ გაჟღერდა. გუშინ კი "მილანის" ვიცე-კაპიტანს ამ თემაზე "ტელეიმედის" "ღია ეთერში" ინგა გრიგოლია ესაუბრა. საინტერესოა, როდის და რა ამპლუაში შეიძლება გამოჩნდეს კალაძე პოლიტიკაში, როგორია მისი გეგმები ამ მიმართულებით... გარდა ამისა, ჯორჯო არმანის სამოდელო სახლის სახე კახა კალაძე დღეს ოფიციალურად გააფორმებს კონტრაქტს "მაგთისთან" და ამ კომპანიას რეკლამირებას გაუწევს... ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე წუხელ კახას გავესაუბრეთ.

- როდის გადაწყვიტე პოლიტიკაში ძალების მოსინჯვა?

- მართალი გითხრათ, ამას ჯერ მხოლოდ ვფიქრობ და ეს ჩემი საბოლოო გადაწყვეტილება არაა. "ტელეიმედის" ეთერშიც გავაკეთე განმარტება და კიდევ ერთხელ ვიტყვი – უბრალოდ, ვფიქრობ პოლიტიკაში მოვსინჯო ძალები. თუმცა ეს ახლო მომავლის პერსპექტივა სულაც არაა. "მილანთან" 2011 წლამდე მაკავშირებს კონტრაქტი. შესაძლოა, ხელშეკრულება გავაგრძელო კიდეც. ასე რომ, ჯერჯერობით, ფეხბურთში ვარ. მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ, მინდა პოლიტიკისკენ ავიღო გეზი. აქამდე ჯერ კიდევ რამდენიმე წელიწადია და სულაც არ გამოვრიცხავ, საერთოდ სხვა გზა ავირჩიო.

- დიდი ხანია რაც პოლიტიკაზე ფიქრობ?

- ამაზე დაჟინებით ვფიქრობ-მეთქი, ნამდვილად ვერ ვიტყოდი. მოთამაშის კარიერის შემდეგ, მინდა სნავლა განვაგრძო.

- სად?

- ამერიკაში ვაპირებ განათლების მიღებას.

- იქ ხომ არა, სადაც ჩვენი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სწავლობდა?

- ეს ჯერ არ ვიცი. ჯერჯერობით, არაფერი გადამიწვეტია. 29 წლის ვარ და ვაპირებ, 7-8 კიდევ წელი ვითამაშო.

- მაინც რამდენ ხანშია მოსალოდნელი კახა კალაძის პოლიტიკაში გამოჩენა?

- ალბათ, დაახლოებით 10-15 წლის შემდეგ.

- იტალიის ყოფილ პრემიერ-მინისტრისა და "მილანის" პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონისთან ახლო ურთიერთობა გაკავშირებს. ალბათ, შენს ამ არჩევანში ამ ფაქტორმაც გარკვეული გავლენა იქონია. ასეა?

- ბერლუსკონი დიდი პოლიტიკოსია და მასთან ურთიერთობისას ბევრს ვსწავლობ. პოლიტიკაში თუ აპირებ ჩართვას, საამისოდ ყველანაირად მზად უნდა იყო, როგორც ფსიქოლოგიურად, ასევე მორალურად, განათლებით და ა. შ. როცა პოლიტიკაში მიდიხარ, ხალხის სიმპათიითაც უნდა სარგებლობდე. მე ასე მწამს და საერთოდ, საკუთარი შეხედულებები მაქვს, მათ შორის პოლიტიკაშიც.

- "ღია ეთერის" მსვლელობისას, ინტერაქტიული გამოკითხვა ჩატარდა, ხალხის დიდმა ნაწილმა პოლიტიკაში წასვლა არ გირჩია...

- გარკვეული დასკვნები გავაკეთე, მაგრამ ამაზე ჯერ ნაადრევია საუბარი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, პოლიტიკაში წასვლა, ჯერჯერობით, ჩემი საბოლოო გადაწყვეტილება არაა. შესაძლოა, მანამდე კიდევ ბევრი რამ შეიცვალოს.

3

კვიპროსზე, ქეცბაიასთან ერთად

გამოსათხოვარი მატჩი რვა ქართველის მონაწილეობით

შავი ზღვის თამაშები 2007

ფრანგბურთელმა გოგონებმა ვაუკაცურად იომეს...

ფეხბურთი: ხურციძის ჰეთ-თრიკი საკმარისი არ აღმოჩნდა

კალათბურთი: გამანადგურებელი მარცხი ბერძნებთან

თათია ბურდული
თენგიზ გაჩეჩილაძე

ტრაბზონიდან

მასშტაბური, კომპლექსური სპორტული შეჯიბრებები, განსაკუთრებით ოლიმპიური თამაშები, აშკარად გამოირჩევიან ასევე მასშტაბური ზეიმითა და პომპეზურობით. უპირველესად კი, ეს ითქმის გახსნისა და დახურვის ცერემონიალზე. ასე რომ, გარკვეულწილად, ამ შემთხვევაში კანონმდებელი ოლიმპიადებია, დანარჩენები კი მიმბაძველებად გვევლინებიან.

შავი ზღვის ქვეყნების პირველი თამაშების ორგანიზატორებსა და მასპინძლებს ოლიმპიური სტანდარტით რომ სურთ თავის მოწონება, ამაზე უკვე ვწერდით. ისიც ვთქვით, რომ დასაწყისშივე, ეს მათ კარგად გამოუვიდათ სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე. ახლა ვიტყვით, რომ შესანიშნავი იყო თამაშების გახსნის ცერემონიალიც ტრაბზონში, ადგილობრივ სტადიონზე. ყველა ცდილობს, ზეიმს რაღაც ახალი შემატოს. გაიხსენეთ მაგალითი, რაოდენ ორიგინალური იყო ნატყორცნი მშვილდის ისრით ოლიმპიური ცეცხლის ანთება. იმის შემდეგ, განსაკუთრებული არსად არაფერი გვინახავს...

ამ მხრით, შავი ზღვის თამაშები კიდევ ერთი სიახლით შევა სპორტის ისტორიაში. საზეიმო გახსნას ვგულისხმობთ. ერთ ეპიზოდში, სპეციალური დანადგარებიდან ჰაერის უმძლავრესმა ჭავლმა მაღლა ბუმბულივით ატყორცნა საჰაერო აკრობატები და მას შემდეგ, რაც მათ სასეირო ილეთები შეასრულეს, რიგრიგობით ჰაერშივე აიტანეს თამაშებში მონაწილე ქვეყნების ეროვნული დროშები...

ზოგიერთი სპორტული დელეგაციის გამოჩენას მაყურებელი განსაკუთრებული აღტაცებითა და ხმაურით შეეგება. მათ შორის, ვისაც ასეთი პატივი ხვდა წილად, იყო საქართველოს დელეგაციაც, რომელიც ასევე ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანია თამაშებზე...

ეს ხდებოდა 2 ივლისს, საღამოს. 3 ივლისს კი სტარტზე უკვე ველოსიპედისტები, ფრენბურთელები და კალათბურთელები გავიდნენ. ველოსიპედისტები გახსნის ცერემონიალის დამთავრებისთანავე გავისტუმრეთ ხოფაში. პირველ ეტაპზე მათ ხოფა-რიზეს მონაკვეთი ჰქონდათ გასავლელი. სხვათა შორის, სპორტის ამ სახეობაში შეჯიბრების ჩატარება კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, რაკი თამაშებზე ველოსიპედისტთა ყველა გუნდი არ ჩამოვიდა. საბოლოოდ, ექვსმა გუნდმა მაინც მოიყარა თავი, რაც დებულებით ასპარეზობის გამართვის შესაძლებლობას იძლეოდა. ვიტყვით, რომ ველოსპორტის ინვენტარის ტრანსპორტირება დიდ სიძნელეებს უქმნის მონაწილეებს. ჩვენებმა, მაგალითად, სპეციალური ველომანქანით გადაზიდეს ველოსიპედები, სათადარიგო საბურავები და სხვა საჭირო ინვენტარი. ბერძნებს ორიგინალური, დიდგაბარიტიანი მყარი ჩემოდნები გამოუგონიათ და ისე გამოუგზავნიათ თვითმფრინავით...

3

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE

ფერნანდო ტორესი უკვე ლივერპულელია

კიდევ კი თითქმის მადრიდელი
მსოფლიო ფეხბურთი 5-8



ნიუკასლი - ქეცბაიას კარიერის პიკი

ლეგიონერი

მალხაზ ასათიანი მილანს უარყოფს და ახალ კონტრაქტს ადასტურებს

გუშინ რუსი კოლეგა, გაზეთ "ჟიზნის" კორესპონდენტი **ვარდან ოგანჯანიანი** დაგვიკავშირდა და საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის "ლოკომოტივის" მცველის, **მალხაზ ასათიანის** შესაძლო ტრანსფერზე დაგვეკითხა, რაიმე სიახლე ხომ არ იყო მის თავს.

უარყოფითი პასუხის შემდეგ, ვარდანმა გვითხრა: *"ჩვენი დიდი ხნის მეგობარი მოსკოვის "ლოკომოტივის" პრესსამსახურში მუშაობს და ბუნებრივია, ურთიერთობას დღემდე ვინარჩუნებთ. სწორედ მან გვითხრა, რომ შესაძლოა, ასათიანი "მილანში" გადავიდეს".*

ცხადია, დეტალებით დავინტერესდით და შემდეგი რამ გვითხრეს - *"მალხაზით იტალიელები ქართველმა კახა კალაძემ დააინტერესა. მალხაზი დარჩენას რომ არ აპირებს და "ლოკომოტივიდან" წასვლა სურს, ერთი საინტერესო ფაქტიდან დასტურდება. ასათიანმა ახლახან "ლოკომოტივის" შეთავაზებულ ახალ კონტრაქტზე უარი თქვა. მოქმედი ხელშეკრულების ვადა კი ნოემბერში უმთავრდება და თავისუფალი აგენტი გახდება, როგორც გვითხრეს, "ლოკომოტივში" კარგად იციან მალხაზის განზრახვა და შესაძლოა, ახლა, სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში გაყიდონ. ასეთ შემთხვევაში, კლუბი მცირე თანხას მაინც მიიღებს. თუმცა თავად მალხაზს მცირე ხელფასი შესთავაზეს და ის თანახმაა გრანდში წასვლის საფასურად ამას დათანხმდეს".*

ასათიანის ახლო მეგობარმა, საფეხბურთო სამყაროსთვის კარგად ნაცნობმა ადამიანმა, ვინც საკუთარი ვინაობის დასახელება არ ისურვა, სხვაგვარი ამბავი გვითხრა, თუმცა, ინფორმაცია ნაწილობრივ დაგვიდასტურა.

- როგორც ვიცი, ეს ამბავი საფუძველს მოკლებული არაა, რადგან მსგავსი რამ კახა კალაძემაც თქვა. თუმცა, ვერ გეტყვით, იტალიელთა ინტერესი რამდენად სერიოზულია.

- რუსებმა გვითხრეს, თითქოს, მალხაზი "ლოკომოტივში" დარჩენას არ აპირებს და ახალ კონტრაქტზე უარი თქვაო.

- არა, ახალი კონტრაქტი გააფორმა. ორ თუ სამწლიანი, ეს არ მახსოვს, მაგრამ ნაღდად გააფორმა და თან "ლოკომოტივისგან" პირობა მიიღო - თუკი სერიოზული მსურველი გამოჩნდება, ხელს არ შეგიშლითო. სხვათა შორის, მახომ ზაფხულში "შალკეში" წასვლისგან თავი შეიკავა, რადგან ოპერაცია ახალი გაკეთებული ჰქონდა და სარისკო იყო გუნდის შეცვლა. მანამდე, სანამ რუსეთის ნაკრებს ჩაიბარებდა, ჰიდინკი "ეინდჰოვენში" იწვევდა.

- იტალიაში თამაშზე რას ფიქრობს, ისევ სიფრთხილეს იჩენს? გვითხრეს, რომ "მილანში" დაბალ ხელფასზეც თანახმაო და რა დავიჯეროთ და რა არა?

- ბოლო დღეებია არ გვისაუბრია, მაგრამ ვიმეორებ, ასეთი რამ ერთი თვის წინათ მართლა იყო.

გუშინ მალხაზსაც დავუკავშირდით.

- მალხაზ, მართალია, რომ "ლოკომოტივთან" ახალი კონტრაქტი გააფორმე?

- კი, ასეა. სამწლიან ხელშეკრულებას მოვაწერე ხელი, მაგრამ მითხრეს, საინტერესო წინადადება თუ გამოგიჩნდა, ხელს არ შეგიშლითო.

- სხვათა შორის, ზუსტად ასე გვითხრა შენმა მეგობარმა და დაგვიდასტურა რუსების მოწოდებული ინფორმაცია, თითქოს შენით "მილანი" დაინტერესდა. დავიჯეროთ?

- "მილანი"?

- დიახ, "მილანი" და არ ვიცით, რამდენად სერიოზულია ეს ინფორმაცია.

- შენ პირს შაქარი, მაგრამ ეს პირველად მესმის.

მერაბ მამულაშვილი

გამოსათხოვარი მატჩი

რვა ქართველს კვიპროსზე ელიან

გასული თვის მიწურულს გამცნეთ, ეროვნული ნაკრებისა და ფამაგუსტის "ანორთოსისის" უკვე ყოფილი ნახევარმცველი **თემურ ქეცბაია** დიდი ფეხბურთიდან რომ წავიდა. მოთამაშის კარიერის დასრულების შესახებ ქეცბაიამ ჯერ კიდევ გასული სეზონის დასრულებისთანავე საჯაროდ განაცხადა.

იმასაც ვწერდით, რომ 14 ივლისს ფამაგუსტაში ქეცბაიას გამოსათხოვარი მატჩი ჩატარდება, რომელშიც თემურის მეგობრები, საქართველოს ნაკრებსა და ბერძნული აეკ-ში მისი ყოფილი თანაგუნდელები მიიღებენ მონაწილეობას. ჩვენი ინფორმაციით, ამ გამოსამშვიდობებელ შეხვედრაში მონაწილეობის მისალებად კვიპროსს **შოთა, არჩილ და რევაზ არველაძეები, გიორგი ნემსაძე, კახა ცხადაძე, მურთაზ შელია, გიორგი ქინქლაძე** და **გოჩა ჯამარაული** ეწვევიან. ეს ცნობა "ლელოსთან" საუბარში კახა ცხადაძემაც დაადასტურა.

"დიახ, მართალია. კვიპროსზე 13 ივლისს გავემგზავრებით, 14-ში კი გამოსათხოვარი მატჩია. საქართველოში მომდევნო დღეს გამოვემგზავრებით. თემურ ქეცბაია ჩვენი მეგობარია და მასთან ახლაც ხშირი და თბილი ურთიერთობა გვაქვს. ასეც რომ არ იყოს, თემური წლების განმავლობაში ეროვნული ნაკრების გამორჩეული ფიგურა იყო და ფეხბურთიდან სათანადოდ გაცილებას ნამდვილად იმსახურებს", - აღნიშნა კახა ცხადაძემ.

დაბოლოს, "ანორთოსისის" მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ უკვე დაიწყო გუნდის მომზადება ახალი სეზონისა და ევროტურნირებისათვის. ფამაგუსტელებმა ახლახან ბელგიურ "სენტ ტრუიდენთან" ამხანაგური მატჩი გამართეს, რომელიც ფრედ, 2:2 დასრულდა. კვიპროსის თასის მფლობელ "ანორთოსის" უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მაკედონიურ "ვარდართან" მოუწევს დაპირისპირება.

დავით ცაბაძე

რეკონსტრუქცია გაგრძელდება

ეროვნულზე ტენდერი გამოცხადდა

ეროვნული სტადიონის დირექციამ ტენდერი გამოაცხადა. მალე აქ მეორე ეტაპის სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაიწყება. გუშინ სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში მედიის თანდასწრებით კონკურსის პირობები გამოქვეყნდა.

სოსო ჯღარკავა, სატენდერო კომისიის წევრი: "ტენდერი ერთი თვის წინათ გამოცხადდა და მასში მონაწილეობის სურვილი ოთხმა კომპანიამ გამოთქვა: "დინასტიამ", "არქსტუდიამ", "საქქალაქმშენმა" და "პირამიდამ". ამ უკანასკნელმა ბოლოს უარი თქვა და სამი მონაწილე დარჩა. "დინასტიის" პროექტი 180 ათას ლარად არის შეფასებული, "არქსტუდიისა" - 220 ათასად, "საქქალაქმშენისა" კი 150 ათასად. მეორე ეტაპზე კეთილმოეწყობა პირველი იარუსი, საკალათბურთო, საჭიდაო, სატრენაჟორო, ტირის დარბაზები, საცურაო აუზი და თანამედროვე სავაჭრო ცენტრი. მთავარი კრიტერიუმი ისაა, რა თანხას მოითხოვს კომპანია შესრულებულ სამუშაოში და რა ვადაში მორჩება რეკონსტრუქციას".

ჯღარკავას თქმით, გამარჯვებულის ვინაობა ორშაბათს გაირკვევა. წარმოდგენილი პროექტით, სტადიონის მომავალი სახე ასე ჩანს - პირველი იარუსი მინებში მოეწყობა და თუკი პროექტი რეალურად განხორციელდება, ჩვენი ეროვნული კიდევ უფრო გალამაზდება.

მერაბ მამულაშვილი

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ჩემპიონატი

www.pfl.ge

ტრანსფერის შემდეგ. ინტერვიუ თუნის მწვრთნელთან

იაშვილი დიდი ძალაა

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა და ბომბარდირმა სანდრო იაშვილმა შვეიცარიულ "თუნთან" გუშინწინ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამ ტრანსფერს შვეიცარიულ პრესაში დადებითი რეზონანსი მოჰყვა. "ქართველი ტოპმეგოლე "თუნში" ითამაშებს" – ამ სათაურით გამოეხმაურნენ შვეიცარიული წყაროები ამ ფაქტს.

ბუნებრივია, "ლელოც" არაერთხელ შეეცადა თუნის ერთ-ერთ სასტუმროში დროებით მცხოვრებ სანდროსთან დაკავშირებას, მაგრამ გუშინ ეს ვერ მოხერხდა. სასტუმროს მისაღებთან მორიგი დაკავშირებისას იმ ნომრებს შეგვაერთეს, რომლებშიც სანდრო იაშვილი და მისი აგენტი მალხაზ მუსერიძე ცხოვრობენ. ყურმილის მეორე მხარეს გერმანული აქცენტის მქონე მამაკაცმა ინგლისურად გვიპასუხა.

- არა, მისტერ მუსერიძე და სანდრო იაშვილი ნომერში არ არიან. ნომერში ვსაუბრობდით და ათიოდე წუთის წინ საქმეზე გავიდნენ. მოგვიანებით იქნებიან.

- მუსერიძის პარტნიორი ბრძანდებით?

- არა, იაშვილის მწვრთნელი გახლავართ... თქვენ მუსერიძის მეგობარი ხართ?

- ჰოლანდიელი რენე ვან ეკი ხართ?

- დიახ?

- ქართული სპორტული გაზეთის ჟურნალისტი გახლავართ. თქვენც არანაკლებ საინტერესო რესპონდენტი იქნებით. იქნება 3-4 კითხვაზე გვიპასუხოთ...

- სიამოვნებით, მაგრამ ცოტა დრო მაქვს და მხოლოდ 3-4 კითხვაზე გიპასუხებთ...

- სანდრო იაშვილზე რა წარმოდგენა შეგექმნათ?

- მას ჩინებული დოსიე აქვს. საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირია, თბილისის "დინამოსთან" ერთად, ვიცე-ჩემპიონი გახდა. ეს აქამდეც ვიცოდით. იაშვილი უკვე ვარჯიშობს ჩვენს გუნდში. სანდროის ჩინებული ფეხბურთელია, ბევრი პლუსი აქვს...

- საინტერესოა, რას მიიჩნევთ მის პლუსებად?

- იგი ტექნიკურია, ბურთს კარგად ფლობს, ჩინებული პასი და გოლის ალღო აქვს. რაც მთავარია, თავით თამაშისას შეუდარებელია.

- "თუნში" რა პოზიციაზე გსურთ იაშვილის გამოყენება?

- ის კარგი ცენტრფორვარდია და სწორედ ამ პოზიციაზე გამოვიყენებთ. ჩვენი გუნდი 4-3-3 სისტემით თამაშობს და ამ სქემაში სანდრო ცენრფორვარდი იქნება. ვარჯიშებზე უკვე ვნახეთ მისი შესაძლებლობები და მჯერა, იაშვილი ჩვენთვის დიდი ძალა იქნება. "თუნში" იგი 10 ნომრით ითამაშებს.

- ხვალ, 4 ივლისს "ივერდონთან" ამხანაგური მატჩი გაქვთ. ველოდოთ სანდო იაშვილის გამოჩენას?

- დიახ, ხვალ აუცილებლად ითამაშებს. გასულ ჩემპიონატში "თუნი" მე-7 ადგილს დასჯერდა. მჯერა, ახალ სეზონში იაშვილთან ერთად, უკეთესი შედეგები გვექნება.

მომიტევეთ, მაგრამ დროის სიმცირის გამო უნდა დაგემშვიდობოთ.

რენე ვან ეკთან საუბარს ამით მოვრჩით და მოგვიანებით, კიდევ ერთხელ შევეცადეთ სანდრო იაშვილთან გასაუბრებას, მაგრამ ამაოდ...

თუმცა "ივერდონთან" თამაშისა და "თუნში" არაოფიციალური დებიუტის შემდეგ, სანდროს უფრო მეტი ექნება სათქმელი.

დავით ცაბაძე

შავი ზღვის თამაშები 2007

ჰეთ-თრიქმა არ უშველათ

პირველი გვერდიდან

სასტარტო მატჩებში, სპორტის სათამაშო სახეობებში, ჩვენს ნაკრებ გუნდებს ძლიერი მეტოქეები დაუპირისპირდნენ. ფეხბურთელები მასპინძელთა ნაკრებს შეხვდნენ. კალათბურთელებს, თამაშების ერთ-ერთ ფავორიტთან, საბერძნეთთან მოუხდათ ძალების მოსინჯვა. შარშან, ჩვენმა ჭაბუკებმა ბერძნებს აჯობეს და ამ უკანასკნელთ ახლა რევანში რომ სწყუროდათ, არც მალავდნენ. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ქართველთა ნაკრები აქ არა თანატოლ მეტოქეს, არამედ ორი წლით უფროსებს ხვდებოდა. ჩვენი ფრენბურთელი გოგონები კი პირველ მატჩში უკრაინელთა ძლიერ გუნდს დაუპირისპირდნენ...

ახლა შედეგებზე. სამწუხაროდ, ქართველმა ფეხბურთელებმა მასპინძელ თურქეთთან 5:3 წააგეს (4:1 პირველი ტაიმის შემდეგ). საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ნიორაძე, კაკუშაძე, ახვლედიანი, მირცხულავა, რიგვავა (55. ლორთქიფანიძე), გუგუჩია, ქაშაკაშვილი (66. მეუნარგია), მელიქიშვილი (58. შონია), კაჭახიძე (46. ძალამიძე), ხურციძე, შეყილაძე.**

ჩვენი გუნდიდან სამივე გოლი **ხურციძემ** გაიტანა. **ჰერბერტ ცანკერის** ბიჭებმა მეორე ტაიმში ძალები მოიკრიბეს და ბოლო წუთამდე ანგარიში უკვე 4:3 იყო თურქების სასარგებლოდ. და იმ დროს, როცა ჩვენები გათანაბრებას ლამობდნენ, დასანანი გოლი გავუშვით - 5:3. სხვა მატჩები ასე დამთავრდა: აზერბაიჯანი-რუსეთი 0:0, უკრაინა-რუმინეთი 1:3, სომხეთი-მოლდოვა 0:2. 5 ივნისს ჩვენი გუნდი ალბანეთს ეთამაშება.

გაცილებით მძიმე მარცხი ინვნიეს ჩვენმა კალათბურთელებმა. მათ ბერძნებთან 103:59 წააგეს. სხვა მატჩები: თურქეთი-რუმინეთი 103:64, რუსეთი-უკრაინა 77:56. საქართველოს ნაკრებს მომდევნო მატჩი 5 ივლისს, აზერბაიჯანთან უწევს.

დავმარცხით ფრენბურთშიც, მაგრამ თავი არ შეგვიცხვენია. ჩვენებმა გოგონებმა ძლიერ უკრაინას დიდი ბრძოლა გაუმართეს, თუმც 3:2 (24:26, 25:17, 22:25, 25:18, 15:7) დათმეს. 5 ივლისს მათი მეტოქე საბერძნეთი იქნება.



რაც შეეხება ველოსიპედისტთა შეჯიბრებას, ხოფა-რიზეს მონაკვეთზე ჩვენი **ნოდარ ყვავაძე** მე-7 ადგილს დასჯერდა. მისი დრო 2:19:50 იყო. კიდევ ერთი ჩვენებური **დავით ასკურავა** კი მე-13 გახლდათ 2:24:00-ით. აქ ლიდერობს თურქი საიარ მუსტაფა - 2:17:30. დღეს ველოსიპედისტებს რიზე-ტრაბზონის მონაკვეთი აქვთ გასავლელი.

P.S.* *ჰერბერტ ცანკერთან დაკავშირებით "ლელოში" გახმაურებული ფაქტი, აქ, ტრაბზონში, იმავე დღეს გახდა ცნობილი. ცხადია, მწვრთნელს არ უნდა მიეტოვებინა გუნდი, თუნდაც გარემოებათა გამო, ღია ცისქვეშ გამხდარიყო საჭირო ღამის გათევა. ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელებმა უმალ მიიღეს სათანადო ზომები და მწვრთნელი იძულებული გახდა, გუნდთან დაბრუნებულიყო, ანუ, ეცხოვრა იმავე პირობებში, როგორშიც მთელი ჩვენი დელეგაცია იმყოფება...

ჯერ ფეხბურთი, მერე ამერიკა და პოლიტიკა

პირველი გვერდიდან

- შენი განცხადება პოლიტიკაში სავარაუდო გამოჩენაზე, ერთგვარ პოლიტიკურ სვლად, ნიადაგის მოსინჯვადაც შეიძლება აღვიქვათ?

- შესაძლოა. თუმცა ჯერჯერობით, "მილანის" ფეხბურთელი და ეროვნული ნაკრების კაპიტანი ვარ და ახლა მხოლოდ ესაა ჩემი საფიქრალი.

- როგორც ყველა სპორტსმენი, შენც ყოველთვის პირველობისკენ ისწრაფვი. 10-15 წლის შემდეგ თუ პოლიტიკაში აღმოჩნდი, შენი საბოლოო მიზანი პირველკაცობა იქნება?

- დიახ, ასეა.

- ამის თაობაზე თუ გქონდა საუბარი შენს მეგობარ მიხეილ სააკაშვილთან ან სხვა პოლიტიკოსებთან?

- არა, ამ საკითხზე მათთან არ მისაუბრია.

- იქნებ მოკლედ გვითხრა, მაინც როგორია შენი პოლიტიკური მიზანი?

- ყველაფერს გავაკეთებ ქვეყნის, ხალხისათვის, დემოკრატიისა და საქართველოს უკეთესი მომავლისათვის.

- ხვალიდან "მაგთის" სახე იქნები. ამაზე რას გვეტყოდი?

- "მაგთისთან" კონტრაქტს გავაფორმებ და ამ კომპანიას გავუწევ რეკლამირებას. სხვათა შორის, "მაგთი" პირველი ქართული კომპანია იყო, რომელმაც ასეთი წინადადებით მომმართა შემომთავაზა და მეც სიამოვნებით დავთანხმდი.

- ბუნებრივია, ფინანსური პირობებიც მისაღები იყო...

- დიახ, ასეა, მაგრამ ფინანსურ პირობებზე კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით.

- დაბოლოს, ჩვენი ინფორმაციით შესაძლოა, მალხაზ ასათიანი მალე შენი თანაგუნდელი გახდეს.

- ამჟამად შვებულებაში ვარ და მსგავსი არაფერი მსმენია. ასე რომ, ვერაფერს გეტყვით.

დავით ცაბაძე

ნისია სხვისია

300 000 და ვაჭრობა გასახდელში

საქართველოს მეცხრამეტე ეროვნული ჩემპიონატი სავარაუდოდ, 11 სექტემბერს დაიწყება და სავარაუდოდ, უმაღლესი ლიგა ისევ თოთხმეტგუნდა იქნება. სავარაუდოდ, საჩხერის "ჩიხურას" ადგილს "ცხინვალი" დაიკავებს და სავარაუდოდ, ისევ იქნებიან გაკოტრებული, უპატრონოდ მიტოვებული და ნისიად მოთამაშე გუნდები.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ კი საგანგებო კომისია შექმნა გუნდების გასაკონტროლებლად - ვისაც სათანადო ფინანსურ-მატერიალური ბაზა არ ექნება, უმაღლეს ლიგაში არ დავუშვებთო. კომისიამ ფინანსური გარანტიების წარსადგენად გუნდებს ხვალამდე მისცა ვადა.

დავინტერესდით, თუ კონკრეტულად რა ფინანსურ გარანტიას ითხოვს პროფლიგა და შევიტყვეთ, რომ უმაღლესლიგელს მინიმუმ 300 000 ლარი უნდა გააჩნდეს სეზონისთვის და ამის საგარანტიო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს.

მაგრამ რა არის საგარანტიო დოკუმენტაცია? ამითაც დავინტერესდით და პროფლიგაში გვითხრეს, კლუბის დამფინანსებელმა წერილობით უნდა დაგვიდასტუროს, რომ ის აუცილებლად დააფინანსებს გუნდს პროფლიგის მიერ დაწესებული მინიმალური თანხით მაინც.

იმითაც დავინტერესდით, პროფლიგა კატეგორიულად თუ ითხოვს კლუბებისგან საბანკო გარანტიებს ან კლუბის საბანკო ანგარიშზე დადებულ მინიმუმ 300 000 ლარს. პროფლიგაში გვითხრეს, რომ ასეთი კატეგორიული მოთხოვნა ჯერ არ არსებობს, თუმც სერიოზულად ფიქრობენ, დააწესონ თუ არა ასეთი მოთხოვნა.

ხვალ კი 5 ივლისია, ფინანსური გარანტიების წარდგენის ბოლო ვადა. ფიქრი იმითაც არის კარგი, რომ ყველგან და ყოველთვის შეიძლება, მაშინაც კი, როცა, აქოთებული მარშრუტკით მგზავრობ თუ მერსედესს დააგელვებ, ცხადია, ფიქრი 5 ივლისსაც შეიძლება, მერე რა, რომ გარანტიების წარდგენის დედლაინია.

პროფლიგა მოწესრიგებულ მოედანს გაპარსულ კლუბებსაც სთხოვს

პროფლიგა საქართველოში 2003 წელს შეიქმნა. ზოგადად, პროფლიგა პროგრესულია, ეროვნული ფედერაციის სუბიექტი ეფექტურად უძღვება შიდა ჩემპიონატს. ქართულმა პროფლიგამაც მოიტანა სიკეთე - კომერციალიზაციის ელემენტები, მაგრამ ამით ქართულ ფეხბურთს მნიშვნელოვნად ჯერ ვერ შეენია, დრო არის საჭირო და კიდევ სახელმწიფოს მიერ ასამოქმედებელი ფეხბურთის განვითარების პროგრამა.

მაგრამ რით ვერ დადგა იმის დრო, რომ სეზონში ერთი თუ რამდენიმე გუნდი არ აღმოჩნდეს ისეთი, უფულობის გამო კორუფციაში არ ჩაეფლოს, ნისიად შეძენილი საწვავით არ გაემგზავროს თამაშზე და აქეთ არ იხვეწებოდეს, ფული მოგვეცით და თამაშს დაგითმობთო.

ეს პრობლემა პროფლიგის შექმნამდეც არსებობდა და მისი გადაჭრა ჯერჯერობით, ვერც მან შეძლო. არადა, გაისად უკვე უეფას მიერ დაწესებული სალიცენზიო ნორმებით უნდა ჩატარდეს ეროვნული ჩემპიონატი და ნუთუ მაშინაც გადაიშლება ჩინოვნიკების მაგიდაზე ასეთი ფურცლები ბეჭდითა და ხელმოწერით - მე, ვერტყვიჭალის გამგეობის თავმჯდომარე კაცურ სიტყვას ვიძლევი, რომ ჩვენ გუნდს არც 300 000 მოაკლდება და არც არაფერი.

თქმა არ უნდა, ყველაფერში ზომიერებაა საჭირო. წინა სეზონში უმაღლესი ლიგის საგზურისთვის ერთ-ერთ გადამწყვეტ შეხვედრაში ღარიბმა გუნდმა შედარებით შეძლებულს ტაიმებს შორის შესვენებაზე გასახდელში შესთავაზა, 5 000 დოლარი მოგვეცით და უმაღლეს ლიგაში ითამაშებთო, თუ ამდენი არ გაქვთ, ახლა ათასი მაინც მოგვეცით და დანარჩენი ნისიად იყოსო.

ასეთი, ზომიერად მოვაჭრე გუნდი შარშან უმაღლეს ლიგაში დაუშვეს და ცხადია, რაღაც საგარანტიო დოკუმენტს ისიც წარადგენდა.

და რა მექანიზმი შეიმუშავა პროფლიგამ, ასეთი რამ კიდევ რომ არ განმეორდეს?..

დავით თავართქილაძე

www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ქართველი ვარსკვლავებში

ყაველაშვილი მსოფლიო ნაკრებში

ჰონკონგის მთავრობის ინიციატივითა და ფიფას მხარდაჭერით, ჩინეთის ნაკრებმა ფიფას ნაკრებთან ახანაგური მატჩი გამართა, რომელიც ჰონგკონგის დამოუკიდებლობის იუბილეს მიეძღვნა. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში ფიფას მსოფლიო ვარსკვლავთა კრებულში ქართველმა ფორვარდმა **მიხეილ ყაველაშვილმაც** ითამაშა.

ამ თამაშს ფიფას პრეზიდენტი **იოზეფ ბლატერი** დაესწრო. ჩვენი ინფორმაციით, ფიფას მსოფლიო ვარსკვლავთა ნაკრებში მიხეილ ყაველაშვილი პირადად ბლატერმა მიიწვია. ყაველაშვილი, რომელმაც მიმდინარე წლის დასაწყისში საჯაროდ განაცხადა მოთამაშის კარიერის დასრულების შესახებ, მსოფლიო ვარსკვლავთა კრებულის სასტარტო შემადგენლობაში მოგვევლინა.

ფიფას მსოფლიო ვარსკვლავთა ნაკრები ჩინეთს ეროვნულ გუნდს შემდეგი შემადგენლობით ეთამაშა:

ცუბერბიულერი, გასპოზი, მანგანი, შაპუიზა, დეუმი, ოლივეირა, ნაკატა, ყაველაშვილი, ბორიმიროვი, მაკბრაიდი, შელტონი.

შეცვლაზე შევიდნენ: **კრეიტონი, კატონგო, რუფერი, ივანაუსკასი, დაეი, სუნგი, კარამბე.**

15 ნომრით მოასპარეზე ქართველი თავდამსხმელი თამაშის 34-ე წუთზე **კიმ იოო სუნგმა** შეცვალა. მატჩი ჩინელებმა, **ხურისა** (41) და **ჟიაოს** (52) გოლების წყალობით, 2:0 მოიგეს.

დავით ცაბაძე

გიორგი შაშიაშვილი

ლეგიონერები

შაშიაშვილი შტურმის სასტარტოშია

კვირაზე ოდნავ მეტია, რაც **გიორგი შაშიაშვილმა** გრაცის "შტურმთან" კონტრაქტი გააფორმა. თუმცა მოკლე პერიოდიც კი საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ეროვნული ნაკრების მცველს ახალი კლუბის მესვეურთა ნდობა მოეპოვებინა. ამის დასტური ისაა, რომ შაშიაშვილი გრაცელთა გუნდში ყველა ამხანაგურ შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობაშია. ამას გარდა, ქართველ მცველს ძალიან კარგი პრესა აქვს. ავსტრიულ ვებგვერდებზე შაშიაშვილის გვარს ყოველთვის საქებარი სიტყვები მოსდევს.

ავსტრიაში ახალი სეზონი მომავალ ოთხშაბათს, 11 ივლისს აიღებს სტარტს. სასტარტო ტურში გრაცელები ვენის "აუსტრიას" უმასპინძლებენ. ბუნებრივია, ამ შეხვედრაში **ფრანკო ფოდას** გუნდში გიორგი შაშიაშვილის ოფიციალურ დებიუტს მოელიან.

"გიორგი შაშიაშვილი "შტურმს" საიმედო მცველად მოევლინა. საქართველოს ნაკრების უკანახაზელით გუნდის მწვრთნელი ფრანკო ფოდა კმაყოფილია და მასზე დიდ იმედებს ამყარებს. ფოდას მტკიცებით, შაშიაშვილი ფიზიკური კონდიციებით, პოზიციის სწორი შერჩევითა და პროდუქტიულობით გამოირჩევა. გარდა ამისა, ქართველი შეტევაშიც კარგად ერთვება", - წერენ ავსტრიული ვებგვერდები.

უფრო მეტიც, "შპორტ1-მა" ახალ სეზონში "შტურმის" ოპტიმალური სასტარტო შემადგენლობა განლაგებით შემოგვთავაზა, რომელშიც შაშიაშვილი ოთხ მცველს შორის მარცხენა ცენტრალურო მცველის პოზიციაზეა.

დაბოლოს, ახალი სეზონისთვის სამზადისში მყოფი "შტურმი" მორიგ ამხანაგურ მატჩს დღეს გამართავს. გუნდი უნგრეთის ჩემპიონ "დებრეცენს" დაუპირისპირდება.

დავით ცაბაძე

ტრანსფერები

თევდორაძე მერანში, გლუნჩაძე ცხინვალში

ორშაბათისთვის დანიშნული "მერანის" კრება დღეისთვის გადაიდო. გუნდის ყველა ახალწვეულისა და წასული მოთამაშეების ვინაობა დღეს უნდა გაირკვეს, რის შემდეგაც "მერანი" კოჯორში გაემგზავრება შეკრებაზე. მანამდე კი ის შევიტყვეთ, რომ თბილისურ გუნდს მეკარე **რევაზ თევდორაძემ** მიაშურა. შეგახსენებთ, საქართველოს ახალგაზრდული და 19-წლამდელთა ნაკრებების კარის დარაჯი ბოლოს გორის "დილაში" ასპარეზობდა.

"მერანის" მთავარი მწვრთნელის, **თამაზ კოსტავას** განკარგულებაში კიდევ ერთი ნიჭიერი გოლკიპერი **კონსტანტინე სეფიაშვილია**. "მერანი" დატოვა კახა გლუნჩაძემ, რომელიც სეფიაშვილთან ერთად, ამ გუნდის კარს გასულ სეზონში იცავდა. იგი კარიერას უმაღლეს ლიგაში, ფაქტობრივად, უკვე გადასულ "ცხინვალში" გააგრძელებს. უახლოეს დღეებში "ცხინვალი" კიდევ არაერთ ფეხბურთელს დაიმატებს.

ლევან ჯანეზაშვილი



რევაზ თევდორაძე

ამისულაშვილი ნალჩიკიდან მიდის?

გუშინ რუსულმა ინტერნეტ-სააგენტო ჩემპიონატ.რუ-მ **ალექსანდრე ამისულაშვილის** შესახებ გაავრცელა ინფორმაცია.

"ნალჩიკის "სპარტაკს", შესაძლოა, ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი, ალექსანდრე ამისულაშვილი გამოაკლდეს. ქართველი ლეგიონერი გუნდში არენდით თამაშობს, რომლის ვადაც 31 ივლისს იწურება.

ჩემპიონატ.რუ-ს ნალჩიკელთა გენერალურმა დირექტორმა, **ვლადიმირ ბალოვმა** აცნობა, რომ ფეხბურთელს დარჩენა სურს, თუმცა ყველაფერი კიევის "დინამოზეა" დამოკიდებული, რომელსაც მოთამაშე ეკუთვნის. ნალჩიკელებს მისი სეზონის ბოლომდე შენარჩუნება უნდათ.

გუშინ ალეკოს დავუკავშირდით და მისგან უფრო დაზუსტებული ამბები შევიტყვეთ.

"ნალჩიკელებს ჩემი გამოსყიდვა კი სურთ, მაგრამ მე ჯერ თავს ვიკავებ. "სპარტაკი" პრემიერლიგის ყველაზე ღარიბი კლუბია და ნორმალური პირობების შემოთავაზება არ შეუძლია. რომც შემომთავაზოს, ორ-სამ წელიწადში რა პერსპექტივა ექნება, ძნელი წარმოსადგენია. ასეთ გაურკვევლობას ვერიდები. ამიტომაც ვფიქრობ, რა ვქნა. შესაძლოა, მაქსიმუმ წლის ბოლომდე დავრჩე, მაგრამ სრულფასოვანი კონტრაქტის გაფორმებას არ ვაპირებ", - გვითხრა ამისულაშვილმა.

მან დაგვიდასტურა, რომ კიევის "დინამომ" მისი სატრანსფერო ფასი გაზარდა. *"მილიონი დოლარი? მეც ასე გავიგე. თუმცა კიეველები კონკრეტულ თანხას არასდროს ამბობენ. ხან ერთს ითხოვენ, ხან მეორეს. ეს დაინტერესებულ გუნდზეა დამოკიდებული. ბუნებრივია, მდიდარს მეტს სთხოვენ".* ალეკომ ზოგადად გაამხილა, რომ რუსეთის პრემიერლიგის კლუბებს სურსო მისი გამოსყიდვა: *"რუსეთში სატრანსფერო ფანჯარა 3 აგვისტოს იხსნება და 31-ში იხურება. რამდენიმე კლუბია დაინტერესებული, მათ ჩემი გამოსყიდვა უნდათ. მთავარია, კიევის "დინამო" რა თანხას მოითხოვს. მანამდე გუნდების დაკონკრეტებას მოვერიდები".*

ალექსანდრე ამისულაშვილი

მერაბ მამულაშვილი

ევრომეტოქე

ლოპესი ვადუცში აღარ ითამაშებს



ხავიერ ლოპესი

უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის "დინამოს" მეტოქე ლიხტენშტაინის "ვადუცზე" გერმანულენოვან ვებგვერდებზე გუშინ მორიგი ცნობები გამოჩნდა. როგორც ირკვევა, "დინამოს" მეტოქე ერთ ფეხბურთელს გამოეთხოვა.

"მცველ ხავიერ ლოპესს "ვადუცთან" 30 ივნისს დაუმთავრდა კონტრაქტი და კლუბმა მოთამაშეს ხელშეკრულება აღარ გაუგრძელა. გუნდის შეცვლა მოუწევს", - ეს ცნობა გუშინ "ვადუცის" ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა.

ცნობისათვის, **ხავიერ ლოპესმა** გასულ სეზონში, **ჰაინც ჰერმანის** გუნდის შემადგენლობაში 13 მატჩი ჩაატარა. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ლოპესი "ვადუცისთვის" არცთუ უმნიშვნელო ფიგურა იყო. ამავე საიტის მიხედვით ირკვევა, რომ "დინამოს" პირველი ევრომეტოქე 11 ივლისს ავსტრიულ "ლუშტენაუსთან" ამხანაგურ მატჩს გამართავს. შეგახსენებთ, რომ ჰაინც ჰერმანის გუნდმა ბოლოს ტესტმატჩი შინ "ციურიხთან" გამართა და 3:4 დამარცხდა.

დავით ცაბაძე

კიკერმა კობიაშვილს პანდერი ანაცვალა

გელზენკირხენის "შალკე" სეზონისწინა სამზადისს შეუდგა. **ლევან კობიაშვილის** გუნდიდან ნავიდა ბრაზილიელი შუახაზელი **ლინკოლნი,** ვინაც წინა სეზონი ჩააგდო და ვესტფალიელებმა ის "გალათასარაის" მიჰყიდეს. "ხუმარებმა" ხუთი ახალი ფეხბურთელი დაიმატეს,რომელთა გვარ-სახელი ჯერ ბევრს არაფერს გვეუბნება.

კლუბის მენეჯერმა **ანდრეას მიულერმა** კი "კიკერს" განუცხადა, ექვს პოზიციაზე მეტად მძაფრი კონკურენციაა მოსალოდნელიო და კობიაშვილი ერთ-ერთ რგოლში მოახვედრა - ქართველის კონკურენტი **კრისტიან პანდერი** იქნებაო.

პანდერი მარცხენა მცველია და მიულერი ვარაუდობს, რომ გუნდის თავკაცი **მირკო სლომკა** კობიაშვილს დამდეგი სეზონისთვის მარცხენა მცველად უფრო მოიაზრებს,ვიდრე მარცხენა საყრდენად, რომელ პოზიციაზეც ლევანი წინა სეზონში თამაშობდა.

"კიკერმა" კი თავისი პროგნოზი გამოამზეურა.პანდერი უფრო შემტევი სტილისაა, კობიაშვილი კი უფრო დაცვითისო. "კიკერის" ჟურნალისტი იმასაც დასძენს, გამოცდილებით ქართველი 23 წლის პანდერს კი აღემატება, თუმც მათგან მწვრთნელი უფრო პანდერს მივნდობაო. 60\40-ზე, ასე აფასებს შანსებს "კიკერი" პანდერის სასარგებლოდ.

დავით თავართქილაძე

კრისტიან პანდერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერნდ შუსტერი

რეალი

რა ხდება ნეტავ, შუსტერის თავს?

ხეტაფე: გადაგვიხადეთ 400 000 ევრო! რეალი: ერთ ევროსაც არ გადავიხდით! კალდერონი ადასტურებს, რომ მიატოვიჩს მწვრთნელის კიდევ ორი ვარიანტი აქვს

ბერნდ შუსტერის "რეალში" გადასვლა, ჯერჯერობით, კითხვის ნიშნის ქვეშაა. "მარკასთან" ინტერვიუში "ხეტაფეს" პრეზიდენტმა **ანხელ ტორესმა** საკითხი მთელი კატეგორიულობით დასვა - სამეფო კლუბმა კომპენსაციის სახით 400 ათასი ევრო უნდა გადაგვიხადოსო. შუსტერს "ხეტაფესთან" ჯერ კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აქვს. ამიტომ, სინიორ ტორესის მოთხოვნა ლოგიკურია. თუკი რომელიმე მხარე ხელშეკრულებას ცალმხრივად წყვეტს, ავტომატურად დგება კომპენსაციის საკითხი. ლოგიკურია-თქო, ვამბობთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ "რეალის" პრეზიდენტი **რამონ კალდერონი** ამ კომპენსაციას უშურველად გაიღებს, პირიქით, საპასუხო ინტერვიუში მან არანაკლები კატეგორიულობით თქვა - ერთ ევროსაც არ გადავიხდითო! მისი არგუმენტი ასეთია:

"შუსტერი იქნება თუ ვინმე სხვა, ჩვენთვის ამას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. დიახ, გერმანელი პირველ ნომრადაა ჩვენს სიაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გულხელდაკრეფილები ვსხედვართ. პრედრაგ მიატოვიჩი მოლაპარაკებას აწარმოებს კიდევ ორ მწვრთნელთან. მინდა, ხაზი გავუსვა ერთ გარემოებასაც, რომ ჩვენ ველაპარაკებით იმათ, ვინც ამ მომენტისთვის კონტრაქტისგან თავისუფალია. ამიტომ, არანაირ კომპენსაციაზე ლაპარაკი არ შეიძლება იყოს, ჩვენ ერთ ევროსაც არ გადავიხდით! როგორც ვიცი, ამ კვირაში შუსტერი "ხეტაფესგან" თავისუფალი იქნება, ყოველ შემთხვევაში, საქმე აქითკენ მიდის, შესაბამისად, მოლაპარაკებებსაც ამის შემდეგ დავიწყებთ".

მაგრამ "ხეტაფეს" პრეზიდენტი დათმობას არ აპირებს. რატომღაც, არც შუსტერი აქტიურობს. რა ხდება? გერმანელმა იცის, რომ თუ საქმე დროში გაიწელა და "რეალმა" სხვა მწვრთნელზე გადაიტანა აქცენტი, შესაძლოა, ის სულაც უმუშევარი დარჩეს, რადგან "ხეტაფეში" მუშაობა მას ძალიან გაუჭირდება. მასსა და პრეზიდენტ ტორესს შორის სიტუაცია უკიდურესად გამწვავებულია. ამავე დროს, "რეალმაც" უნდა იჩქაროს. 21 ივლისს სამეფო კლუბი ახალი სეზონისთვის მზადებას იწყებს და ბუნებრივია, ეს ახალ მწვრთნელთან ერთად უნდა მოხდეს. ცაიტნოტი ჯერ არ დამდგარა, მაგრამ... ისე კი, დროის ფაქტორთან დაკავშირებით კალდერონის პოზიცია, ცოტა არ იყოს, უცნაურია:

"მწვრთნელის დანიშვნას არ ვჩქარობთ. ეს არ არის მარტივი პროცედურა და ამიტომ, სერიოზული განსჯა გვმართებს. 21 ივლისს "რეალი" ახალი სეზონისთვის მოსამზადებლად შეიკრიბება. ახალი მწვრთნელი? მე მგონია, რომ ამ ეტაპზე ჩვენი მთავარი ამოცანა რამდენიმე ახალი მოთამაშის მოყვანაა. ამაზე ინტენსიურად ვმუშაობთ, რაკი ვიცით, რომელ რგოლში რა ტიპის ფეხბურთელი გვჭირდება. მინდა, კიდევ ერთხელ განვმარტო, რომ კომპენსაციასთან დაკავშირებით ჩვენი პოზიცია საბოლოოდ ჩამოყალიბებულია და მის შეცვლას არ ვაპირებთ. და ეს არ არის შურისძიება "ხეტაფეს" პრეზიდენტის მიმართ, ეს პრინციპის საკითხია".

შემდეგ, კალდერონმა ტრანსფერებზეც გააკეთა განმარტება. აღმოჩნდა, რომ გერმანელი მცველი **კრისტოფ მეტცელდერი** მადრიდში პარასკევს ჩავა და კონტრაქტსაც იმ დღესვე მოაწერს ხელს: *"იმედი მაქვს, რომ მეტცელდერი პირველი იქნება, ვინც ჩვენთან ხელშეკრულებას გააფორმებს. როდის? ალბათ, პარასკევს. ტყუილია, თითქოს მეტცელდერის მოსვლა პირდაპირ კავშირშია შუსტერთან. გერმანელ მცველთან ჩვენ გაცილებით ადრე გავარკვიეთ ურთიერთობა. რამდენადაც ვიცი, "რეალს" მისი ყიდვა ჩემს პრეზიდენტობამდეც უნდოდა".*

კრისტიან კივუსთან დაკავშირებით: *"ვიცი, რომ მიატოვიჩი რომშია და მოლაპარაკებებს აწარმოებს. სხვას ვერაფერს გეტყვით, კონკრეტული ჯერჯერობით, არაფერია. თუმცა ისიც ვიცი, რომ კივუ ძალიან ახლოსაა მადრიდთან".*

არიენ რობენი და **კაკა**: *"ორივე დღის წესრიგში რჩება. რობენთან დაკავშირებით ის შემიძლია გითხრათ, რომ მოლაპარაკება წარმატებით გრძელდება და მჯერა, ყველაფერი მალე მოგვარდება. კაკას რაც შეეხება, "მილანმა" კატეგორიულად გვთხოვა, ამ თემაზე აღარ ვისაუბროთ, რადგან ფეხბურთელი იტალიაში დარჩენას აპირებსო... მაგრამ არ მგონია, რომ კაკას "რეალში" გადმოსვლა არ უნდოდეს. თუმცა კი ეს ტრანსფერი ძალიან ძნელი განსახორციელებელი იქნება".*

შემდეგ, კალდერონს მეტად მტკივნეული კითხვა დაუსვეს - რას ფიქრობთ იმაზე, რომ "ბარსელონა" სერიოზულადაა ჩართული სატრანსფერო საქმეებში და აშკარად ძლიერდებაო. ცხადია, მაგალითად **ტიერი ანრი** მოუყვანეს. "რეალის" ბოსი, თურმე, მშვიდადაა: *"ბუნებრივია, რომ ჩვენი კონკურენტი ძლიერდება, რადგან მან ჩემპიონობა დაკარგა და ახლა უნდა, დაიბრუნოს. ეს ჩვეულებრივი კონკურენციაა. კატალონიელთა აქტიურობა ჩვენ ხელს ნამდვილად არ გვიშლის. ყველა კლუბს საკუთარი სატრანსფერო პოლიტიკა აქვს. დიახ, "ბარსამ" კარგი მოთამაშეები იყიდა და ეს კარგია იმ მხრივ, რომ პრიმერა დივიზიონი კიდევ უფრო ძლიერი და კონკურენტუნარიანი გახდება".*

ლივერპული

ტორესი ლივერპულში

27 მილიონი გირვანქა და ექვსწლიანი კონტრაქტი, ბენიტესს არც ჰაინცეს ყიდვის იმედი დაუკარგავს...

ფერნანდო ტორესი ლივერპულში იმყოფება. გუშინ მას სამედიცინო შემოწმება უნდა გაევლო. მერსისაიდელები მადრიდის "ატლეტიკოს" საბოლოოდ შეუთანხმდნენ. ესპანური კლუბი 27 მილიონ გირვანქას მიიღებს. 23 წლის თავდამსხმელი ლივერპულელთა ყველა დროის ყველაზე ძირადღირებული ფეხბურთელი გახდება. მას ექვსწლიან კონტრაქტს გაუფორმებენ. ტორესის ყოველკვირეული ხელფასი 90 ათასი გირვანქით განისაზღვრება. საერთო ჯამში, მერსისაიდელებს ამ ბიჭის ყიდვა და შენახვა 47 მილიონი დაუჯდებათ. ამერიკელმა ინვესტორებმა ხსენებული თანხა ულაპარაკოდ გაიღეს. **რაფა ბენიტესი** ახალგაზრდა ვარსკვლავის შეძენას გასული სეზონის დასრულების დღიდან ითხოვდა. და აი, მიაღწია კიდეც სანადელს. ფერნანდოს **რობი ფაულერის** 9-ნომრიანი მაისურა გადაეცემა. 32 წლის თავდამსხმელს ახალი კონტრაქტი არ შესთავაზეს. რობიმ ლივერპულური სახლი უკვე გასაყიდად გაამზადა. ის ინგლისიდან აბარგებას აპირებს. დაინტერესებულ კლუბებს შორის "ნიუ ინგლენდ რევოლუშენს", "სიდნი ეფ სის", "რეინჯერსსა" და "სელტიკს" ასახელებენ.

დავუბრუნდეთ ტორესს. ესპანელ გოლეადორს უფრო ხანმოკლე კონტრაქტის გაფორმება სურდა, მაგრამ ლივერპულელები გაჯიუტდნენ. ფერნანდოს შვებულება კვირას დაუმთავრდა, მადრიდში დაბრუნებისთანავე ბარგი ჩაალაგა და ინგლისში გაემგზავრა. ტორესმა "ატლეტიკოს" გულშემატკივრებს გამოსათხოვარი წერილი დაუტოვა. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში კლუბის შტაბბინასთან ინჩასების საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა. ისინი საყვარელი ფეხბურთელის გაყიდვას აპროტესტებდნენ. ტორესი "ატლეტიკოში" 12 წლის წინათ მივიდა. ის ძირითად გუნდში 2001 წელს გადაიყვანეს. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ფერნანდო მადრიდელთა უცვლელი ბომბარდირი იყო. მისთვის ყველაზე წარმატებული 2003-04 წლების სეზონი გამოვიდა - 19 გოლი პრიმერა დივიზიონში.

ამ გარიგების ნაწილია **ლუის გარსიას** "ატლეტიკოში" დაბრუნება. "ლივერპულმა" ესპანელი ნახევარმცველი 4 მილიონ გირვანქად გაყიდა. გარსია "ენფილდზე" 2004 წლის "ბარსელონიდან" გადავიდა, თუმცა იქამდე, 2002-03 წლების სეზონი "ვისენტე კალდერონზე" გაატარა და 30 მატჩში 9 გოლი შეაგდო. 29 წლის ნახევარმცველმა იანვარში უმძიმესი ტრავმა მიიღო და სეზონის ნახევარი გაუცდა. ის მერსისაიდელებს 77 მატჩითა და 18 გოლით ემშვიდობება.

ბენიტესი კი, ამასობაში, კიდევ ერთი ხმაურიანი ტრანსფერისთვის ემზადება. ის **გაბრიელ ჰაინცეს** ხელში ჩაგდების იმედს არ კარგავს. მოლაპარაკებები ინტენსიურად მიმდინარეობს. მოსალოდნელ გარიგებას ინტრიგას მატებს ის, რომ მოსისხლე მეტოქეები ერთმანეთთან, როგორც წესი, არ ვაჭრობენ ხოლმე. თავად განსაჯეთ: ამ კლუბებს შორის ტრანსფერები შორეული 1964 წლის შემდეგ არ განხორციელებულა. ზუსტად 43 წლის წინათ "იუნაიტედიდან" "ლივერპულში" ბევრისთვის უცნობი ფეხბურთელი **ფილ ჩისნოლი** გადავიდა. მერსისაიდელები 4.5 მილიონ გირვანქას ამზადებენ. მიმმხილველების შეფასებით, გარიგების ალბათობა საკმაოდ დიდია.



ფერნანდო ტორესი

ტრანსფერი

არც ინტერი, არც ბარსა, კივუ რეალში!

სამეფო კლუბი 18 მილიონ ევროს გადაიხდის. შესაძლოა, რეალმა სანაცვლოდ კანავარო, სისინიო ან კასანო დათმოს...

კრისტიან კივუ

ვგონებთ, **კრისტიან კივუმაც** დაისვენა, იმ ხალხმაც, ვინც მის ტრანსფერზე მუშაობდა და ჩვენც მოვითქვით სული. კვირაზე მეტია, ლამის ყველა ნომერში ვწერდით - ხან "ინტერი", ხან "ბარსა", ბოლოს "რეალი"... რომ იტყვიან, კივუ ხელიდან ხელში გადადიოდა. ბოლო მომენტში, როცა **მასიმო მორატიმ**, თითქოს "ბარსელონაცა" და "რეალიც" პირში ჩალაგამოვლებული დატოვა, აღმოჩნდა, რომ თავად ერგო ეს ხვედრი, რადგან გუშინ "რეალმა" ყველაფერს წერტილი დაუსვა. აქ არის მარტივი ჭეშმარიტება, ასე ვთქვათ, აუქციონის პრინციპი: მოთამაშე აიყვანა იმან, ვინც მეტი გადაიხადა. ეს არის და ეს.

"ინტერი" და "ბარსელონა" "რომას" სხვადასხვა წინადადებით მიმართავდნენ, მაგრამ მათი შეთავაზება, მაქსიმუმ მილიონი ევროთი თუ იზრდებოდა. უყურა ამ ინილო-ბინილოს "რეალმა" და საქმეში სერიოზულად ჩაერია. სამეფო კლუბის სპორტულმა დირექტორმა **პრედრაგ მიატოვიჩმა**, მადრიდელთა სატრანსფერო კონსულტანტ **ერნესტო ბრონცეტისთან** ერთად, რომს მიაშურა და უშუალოდ **როზელა სენსისთან** გამართა მოლაპარაკება. ამ მოლაპარაკებებს, პირადად ჩერნოგორიელი ჩინოსნისთვისაც, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ესპანური პრესის მტკიცებით, მიატოვიჩს წყალი აქვს შეყენებული. შესაძლოა, "რეალის" პრეზიდენტმა **რამონ კალდერონმა** ამით უკანასკნელი შანსიც მისცა - ან ჩამოიყვანდა კივუს მადრიდში, ან თანამდებობის დატოვება მოუწევდა. პედიამ მისიას ბრწყინვალედ გაართვა თავი. ის კივუსაც ესაუბრა. ცხადია, 29 წლის მცველმა მადრიდში გადასვლაზე პრინციპული თანხმობა განაცხადა...

მერე მთავარი იყო მოლაპარაკება თავად კლუბებს შორის. მაშინ, როცა "ინტერისა" და "ბარსას" მაქსიმალური შეთავაზება 12 მილიონ ევროს ვერა და ვერ ასცდა, მიატოვიჩმა "რომას" მაგიდაზე 18 მილიონი დაუდო. ესეც ბოლო აკორდი. მაგრამ ვიდრე ტრანსფერის საკითხი ჯერ ბოლომდე მაინც არ არის გადაწყვეტილი, არ გამორიცხავენ ასეთ ვარიანტსაც: "რეალი" გადაიხდის 15 მილიონს და ამ დანაზოგის სანაცვლოდ, რომელიმე მოთამაშეს დათმობს. ცნობილია, რომ "ჯალოროსის" ბრაზილიელი მარცხენა მცველი **სისინიო** აინტერესებს. სისინიომ "ბერნაბეუზე" ფეხი ვერ მოიკიდა. ფაქტობრივად, "რეალმა" მასში დახარჯული თანხა წყალს გაატანა. მადრიდელებს საშუალება ეძლევათ, კივუს ტრანსფერში ფულის სწორედ სისინიოს ხარჯზე დაზოგონ. "რომა" კი თანახმა იქნება, მომავალ წელს ჩემპიონთა ლიგაში გასვლის შემთხვევაში, სისინიოში იქით გადაიხადოს 2 მილიონი ევრო.

შეიძლება, "რეალმა" იტალიურ მხარეს **ფაბიო კანავაროც** შესთავაზოს. ეს უკანასკნელი "იუვენტუსის" მთავარი სამიზნეა. "რომას" კი მცველის საკითხი იმდენად არ აღელვებს, რამდენადაც თავდამსხმელის. ეს თავად **ლუჩანო სპალეტიმ** განაცხადა. მაშ, **ანტონიო კასანო**? კასანოს თაობაზე რომაელთა აზრი უცნობია. გავითვალისწინოთ, რომ თავის დროზე, "რომამ" კასანო "რეალში" უმტკივნეულოდ გაუშვა.

იტალიურ პრესაში უცნაური, მაგრამ საყურადღებო ვერსიაც დაიწერა. "კორიერე დელო სპორტის" აზრით, მოსალოდნელია, რომ სამეფო კლუბი "რომას" მხოლოდ კანავაროს შესთავაზებს. მაგრამ ცნობილია, თუ კანავარო იტალიაში დაბრუნდება, "ნაპოლის" ან "იუვენტუსს" მიაშურებს. აქ უკვე, "ქალბატონმა" თამაშში, შეიძლება, ფორვარდი **ფაბრიციო მიკოლი** ჩართოს. მიუხედავად იმისა, რომ მიკოლიზე პრეტენზიას "პალერმო" აცხადებს და თითქოს ეს გარიგებაც ახლოვდება, "იუვე" სიცილიელებს უარს ეტყვის და თავდამსხმელს "რომაში" გაუშვებს, თავად კი ხელთ კანავარო შერჩება. აი, ასე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

პოლდი და შვაინი სკამზე

რეკორდმაისტერს ტონი და რიბერიც შეუერთდნენ

გასულ სეზონში **ლუკას პოდოლსკი** უმეტესად „ბაიერნის“ სათადარიგოთა სკამს ხეხავდა - მან სეზონის 60 პროცენტზე მეტი სკამზე გაატარა! თავად განსაჯეთ, პოლდიმ რეკორდმაისტერის ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ 11 მატჩი ჩაატარა და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მომავალ სეზონში მოედანზე უფრო ცოტა დროს დაჰყოფს. ეს იმიტომ, რომ ლუკასმა მიუნხენური კლუბის ბოსების იმედები (ჯერ) ვერ გაამართლა და თანაც, „ბაიერნში“ ახლა უკვე უდიდესი კონკურენციაა.

ბასტიან შვაინშტაიგერი „ბაიერნის“ ძირითადში გაცილებით ხშირად (თითქმის ყოველთვის) თამაშობდა და სასტარტოში 27 მატჩი ჩაატარა, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ მთავარი მწვრთნელები (ჯერ **მაგათი**, მერე კი **ჰიტცფელდი**), საკმაოდ ხშირად (სულ 11-ჯერ) ცვლიდნენ.

რაკი „ბაიერნმა“ მსოფლიოს ჩემპიონი **ლუკა ტონი** და ვიცე-ჩემპიონი **ფრანკ რიბერი** გადაიბირა, პოლდისა და შვაინის გაისად სკამის ხეხვის საფრთხე ემუქრებათ. ფაქტი ის გახლავთ, რომ მიუნხენელებმა ახალ მოთამაშეებში სულ 70 მილიონი ევრო დახარჯეს და ახლა რეკორდმაისტერს ყველა პოზიციაზე ორ-ორი ფეხბურთელი ჰყავს. მოკლედ, ძირითადისთვის ბრძოლა იწყება და ამთავითვე ნათელია, რომ პოდოლსკის ძალიან ცუდი შანსები აქვს. შვაინი შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია, მაგრამ სასტარტოში მოხვედრა მასაც ძალიან გაუჭირდება. არადა, ერთი წლის შემდეგ ევროპის ჩემპიონატია და ამრიგად, შვაინისა და პოლდის სათამაშო პრაქტიკა ძალიან სჭირდებათ. გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** გრძნობს, რომ მის შეგირდებს ეს პრაქტიკა არ ექნებათ. *„დიახ, აშკარაა, რომ მათ უფრო იშვიათად მოუწევთ თამაში,“* – დამწუხრებულია ბუნდესმწვრთნელი.

ტონის ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული აქვს - ეს ფაქტია. ფაქტია ისიც, რომ მის გვერდით **მიროსლავ კლოზე** ითამაშებს და თანაც, თვითონ მირომაც თქვა, ლუკასი სასტარტოში მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხვდება, თუ ჰიტცფელდი სამი ფორვარდით ითამაშებს ან რომელიმე ჩვენგანი ცუდ ფორმაში იქნებაო. ჯერჯერობით ლუკასი ტრავმირებულია. სრული დატვირთვით ვარჯიშს ის ერთ თვეში შეუდგება. ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა შვაინშტაიგერიც, მაგრამ ეს უკანასკნელი ამბობს: *„თუკი თავს არ დავზოგავ და ჩემს შესაძლებლობებს გამოვავლენ, დარწმუნებული ვარ, რომ არავინ დამჩაგრავს. თავის დაზოგვას ნამდვილად არ ვაპირებ. ვიბრძოლებ იმისთვის, რომ მუდმივად ვითამაშო!“*

მაგრამ შვაინის უმთავრესი კონკურენტი, მოულოდნელად, რიბერია – ფეხბურთელი, რომელშიც ბავარიელებმა 25 მილიონი ევრო გადაიხადეს და რომელიც ამის გამო „ბაიერნის“ ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდა. და ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება იმას, რომ ფრანგს შვაინშტაიგერთან შედარებით უპირატესობა აქვს. რიბერის მარჯვენა ფლანგზეც შეუძლია თამაში და ასეთ შემთხვევაში მარცხნივ შვაინი იასპარეზებდა, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ ფრანგ გარემარბს მარცხნივ სურს თამაში. *„დიახ, ფრანკმა გვითხრა, რომ მას მარცხენა ფლანგზე ასპარეზობა ურჩევნია, რომ თავს სწორედ ამ პოზიციაზე გრძნობს კარგად. შესაბამისად, ცხადია, რომ ის მარცხნივ ითამაშებს“*, - აცხადებს რეკორდმაისტერის გენერალური მენეჯერი **ული ჰაინესი**. და რა უნდა ქნას შვაინმ? ული: *“ახლა მთავარი ის არის, რომ ბასტიანმა ფორმა, რაც შეიძლება, სწრაფად აღიდგინოს. ითამაშებს თუ არა ძირითად შემადგენლობაში, ეს, პირველ რიგში, მასზეა დამოკიდებული. ცხადია, რომ წნეხი უმძიმესია, მაგრამ ზეწოლის ქვეშ არა მარტო შვაინშტაიგერი, არამედ „ბაიერნის“ ყველა ფეხბურთელია მოქცეული. ეს იმიტომ, რომ კონკურენცია ძალიან გაიზარდა, რაც გუნდისთვის შესანიშნავია.“* „ბაიერნისთვის“ ეს მართლაც ძალიან კარგია, რადგან მოდუნების საშუალება არცერთ ფეხბურთელს არ ექნება, სამაგიეროდ, ეს ცუდია გერმანიის ნაკრებისთვის!

თანაც, მარცხენა ნახევარმცველის ფუნქციების შესრულება დღევანდელ რეკორდმაისტერში ისედაც ძალიან ბევრ ფეხბურთელს შეუძლია. რიბერისა და შვაინის გარდა, ამ პოზიციაზე **სოსას**, **ზე რობერტოს**, **იანსენსა** და **შლაუდრაფსაც** ძალუძთ ასპარეზობა. ნახევარდაცვის ცენტრში ადგილი **მარკ ვან ბომელსა** და **ზე რობერტოს** აქვთ გარანტირებული. ყოველ შემთხვევაში, თუ ისინი ჯანმრთელად და კარგ ფორმაში იქნებიან, ჰიტცფელდი ნახევარდაცვის ცენტრს სწორედ მათ ანდობს. მარჯვნივ კი, სავარაუდოდ, სოსა ითამაშებს. მარჯვნივ შვაინისაც შეუძლია თამაში, მაგრამ ცნობილია, რომ რიბერის დარად, მასაც მარცხნივ ურჩევნია.

ლუკას პოდოლსკი და ბასტიან შვაინშტაიგერი

პრობლემა მხოლოდ შვაინშტაიგერისა და პოდოლსკის მდგომარეობა როდია. თუკი **ვილი სანიოლი** მალე გამოჯანმრთელდება (მუხლის ოპერაცია გაიკეთა), მაშინ დაცვის მარჯვენა ფლანგზე სწორედ ის ითამაშებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სკამზე ან **ფილიპ ლამი** გადაინაცვლებს, ანაც იანსენი. იმედია, შეხსენებას აღარ საჭიროებს ის ფაქტი, რომ ორივე გერმანიის ნაკრების იმედია. სანამ სანიოლი ლაზარეთშია, მარჯვნივ ლამი თამაშობს, მარცხნივ კი იანსენი.

„ბუნდესლიგა, გერმანიის თასი, უეფას თასი – „ბაიერნს“ ძალიან ბევრი თამაში ელის და შესაბამისად, იმედი მაქვს, რომ ჰიტცფელდი ხშირად მიმართავს როტაციას და რომ ჩემს შეგირდებს სათამაშო პრაქტიკა ექნებათ,“ – ეს ლიოვის სიტყვებია. თუ ასე არ მოხდა, გამოდის, რომ იოგიმ ევროპის ჩემპიონატზე უთამაშებელი ფეხბურთელები უნდა წაიყვანოს.

■ ■ ■

ამასობაში, გუშინ „ბაიერნს“ ტონი და რიბერიც შეუერთდნენ. როგორც იცით, ლუკამ და ფრანკმა სხვებზე ხანგრძლივი შვებულება მიიღეს (თან, იტალიელი ტრავმირებულიც იყო). ამრიგად, გუშინ რეკორდმაისტერის ორმა უმთავრესმა ახალწვეულმა (ორივე ერთად 36 მილიონი დაჯდა) ჰიტცფელდის ხელმძღვანელობით პირველად ივარჯიშეს.

„თუ შემადგენლობას გადავხედავთ, ძალიან ძლიერი გუნდია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩვენი სიძლიერე მოედანზე უნდა დავამტკიცოთ. ჩვენი მიზანი, რა თქმა უნდა, ყველა ტურნირის მოგებაა,“ – განაცხადა ტონიმ. *„ყოველდღე 100 პროცენტით დავიხარჯები, ყველა თამაშში და ყველა ვარჯიშზე!“* – ეს კი რიბერის სიტყვები გახლავთ. მსუბუქად ივარჯიშა შვაინშტაიგერმაც.

კანი და კლოზე შერიგდნენ

2004 წლის 2 ოქტომბერს, „ბაიერნისა“ და „ვერდერის“ დაპირისპირების დროს ისეთი რამ მოხდა, რამაც მთელი საფეხბურთო გერმანია შოკში ჩააგდო და გააოგნა. გაგახსენებთ: ერთ-ერთ ეპიზოდში განრისხებული **ოლივერ კანი** მირო კლოზეს მივარდა და საჩვენებელი თითი ცხვირზე მაგრად მიაჭირა, თითქოს უნდოდა ეთქვა, აზრზე მოდი, ბიჭუნი, არ დაგავიწყდეს, ვისთან გაქვს საქმეო. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა – კლოზემ და კანმა გერმანიის ნაკრებში ერთად არაერთი მატჩი ჩაატარეს, მაგრამ ცნობილი იყო, რომ ისინი ერთმანეთს კარგად ვერ უგებდნენ და ურთიერთობა თითქმის არ ჰქონდათ. ახლა კლოზე „ბაიერნშია“, ამ გუნდის კაპიტანი კი კანი გახლავთ, რომლის სიტყვაც თანაგუნდელებისთვის ყოველთვის კანონია.

„2004 წელს მომხდარი ფაქტი დიდი ხნის დავიწყებულია!“ – ამბობს კანი, - *„მე და მირო ერთმანეთს საკმაოდ კარგად ვუგებთ და მაშინდელი შემთხვევა არცერთს არ გვახსოვს. საერთოდ, 2002 წლის შემდეგ, კლოზე გაცილებით გულღია ადამიანი გახდა. არადა, სულ თავიდან ძალიან ჩაკეტილი და ჩუმი იყო. თანაც, ფეხბურთსაც გაცილებით უკეთესად თამაშობს. დარწმუნებული ვარ, რომ „ბაიერნის“ მაისურით უამრავ გოლს გაიტანს!“* მოკლედ, კანი კლოზეს შეურიგდა. ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად მაინც...

სანტა კრუსს გალათასარაი გამოუჩნდა

როგორც იცით, „ბაიერნი“ მზადაა, პარაგვაელი თავდამსხმელი **როკე სანტა კრუსი** გაყიდოს. ეს თვითონ ფეხბურთელმა ითხოვა, რადგან მიუნხენურ გუნდში იმდენად დიდი კონკურენციაა, რომ ცხადია, სანტა კრუსს თამაში თითქმის არ მოუწევს. ბავარიელებმა პარაგვაელი არ შეაფერხეს და უთხრეს, თუკი ისეთ გუნდს იპოვი, რომელიც შენს სანაცვლოდ გარკვეულ თანხას გადაგვიხდის, გაგიშვებთო. როკე აქამდე არავის სურდა. ახლა კი გაირკვა, რომ ტანმაღალი ფორვარდი, რომელიც ახლა კოპა ამერიკაზე ასპარეზობს, „გალათასარაის“ უნდა. თურქული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, „გალათასარაისა“ და „ბაიერნს“ შორის მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს და მხარეები შეთანხმებასთან ძალიან ახლოს არიან. შეგახსენებთ, რომ თურქულმა გრანდმა ცოტა ხნის წინათ „შალკედან“ ბრაზილიელი გამთამაშებელი **ლინკოლნი** იყიდა.

ამასობაში, ბავარიელთა ირანელმა ნახევარმცველმა **ალი ქარიმიმ** ყატარს მიაშურა, სადაც „ყატარ სპორტს კლუბში“ ჩაირიცხა. 28 წლის ირანელმა ამ გუნდთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და წელიწადში 4-იდან 5 მილიონ ევრომდე მიიღებს. ქარიმის გაშვება „ბაიერნის“ ბოსებს დიდი ხნის გადაწყვეტილი ჰქონდათ.

გოტფრიდ ლენცი

ლუკა ტონი, ოტმარ ჰიტცფელდი და ფრანკ რიბერი

ჩელსი

ბალაჯინი მეორე ოპერაცია

ალვეში 23 მილიონად, ბულარუზიც ანდალუსიაში

მიხაელ ბალაკს კოჭის ოპერაციას გაუკეთებენ. ექიმების განცხადებით, ეს იმდენად უმნიშვნელო ქირურგიული ჩარევა იქნება, რომ ფეხბურთელი უმოკლეს დროში მოახერხებს ვარჯიშს. 30 წლის გერმანელს ამერიკული შეკრების გამოტოვება არცკი ემუქრება. "არისტოკრატები" ოკეანის გაღმა ერთ კვირაში გაემგზავრებიან. ერთ-ერთ საჩვენებელ მატჩში მათი მეტოქე **დევიდ ბექჰემის** "ლოს ანჯელეს გალაქსი" იქნება. ბალაკმა ტრავმა გასული სეზონის მიწურულს, "ნიუკასლთან" თამაშისას მიიღო. მაისში მას პირველი ოპერაცია გაუკეთეს. გართულებების თავიდან აცილება ვერ მოხერხდა. ამიტომ განმეორებითი ოპერაცია გახდა საჭირო. მიხაელი ისევ გერმანელ ქირურგებს მიაშურებს. აქვე "ჩელსის" ამერიკული განრიგი: 10 ივლისს დაგეგმილია ღია ვარჯიში ნიუ იორკში. 14 ივლისს სტენფორდის სტადიონზე შედგება ამხანაგური შეხვედრა მექსიკურ "ამერიკასთან", 17 ივლისს ლონდონელთა მეტოქე კორეული "სუვონ ბლუ ვინგსი" იქნება, ხოლო 21 ივლისს - "გალაქსი". ამერიკელი მიმომხილველების მტკიცებით, ბექზის ამერიკული დებიუტი სწორედ ამ შეხვედრაში შედგება.

რადიო "მარკა" იუწყება, რომ "ჩელსიმ" "სევილიას" **დანიელ ალვეშის** სანაცვლოდ 23 მილიონი ევრო შესთავაზა. ინგლისის ვიცე-ჩემპიონებს დიდი ხანია, ბრაზილიელი მცველის შეძენა სურთ. ისინი თანახმანი არიან, ანდალუსიელებს ჰოლანდიელი მცველი **ხალიდ ბულარუზიც** შეაძლიონ. ეს უკანასკნელი 5-6 მილიონი ევრო ღირს. სევილიელთა პრეზიდენტი **ხოსე მარია დელ ნიდო** ალვეშს 25 მილიონად აფასებს, თანაც ბულარუზის კანდიდატურით აღფრთოვანებული სულაც არ გახლავთ. მისი აზრით, ჰოლანდიელი მარჯვენა მცველის მოვალეობებს თავს ვერ გაართმევს. ესე იგი, დანიელ ალვეშის შემცვლელად ვერ გამოდგება.

იუვე: მორჩა ბაზარი!

"იუვენტუსის" ერთ-ერთმა მეპატრონემ და **ანიელების** შთამომავალმა **ჯონ ელკანმა** ტიფოზებისთვის არცთუ სასიამოვნო განცხადება გააკეთა. "ფიატის" ვიცე-პრეზიდენტი სატრანსფერო ოპერაციებს დასრულებულად მიიჩნევს, და ეს მაშინ, როცა **კლაუდიო რანიერის** მინიმუმ ერთი კარგი მცველი ჯერ კიდევ საყიდელი ჰყავს:

"ჩვენ ლუჩანო მოჯისა და ანტონიო ჯირაუდოს იდეებით აღარ უნდა ვიცხოვროთ. მათმა პოლიტიკამ "იუვენტუსს" რაც მოუტანა, ყველამ ვიცით. მე არ მჯერა ისეთი მოდელის, როცა დანახარჯები მთლიანი ფინანსური ბრუნვის 80 პროცენტს შეადგენს. გვეყოფა! სერია B-მ ისედაც სერიოზული დანაკარგები მოგვიტანა".

ჯონ ელკანს მაგალითად მოჰყავს ინგლისი, სადაც ხარჯვითი წილი 55 პროცენტს არ აღემატება. ამიტომაც აქვთ პრემიერლიგის კლუბებს ჩვენზე უკეთესი ფინანსური ბალანსიო, ასკვნის ახალგაზრდა ფუნქციონერი.

ბექჰემი ავსტრალიაში

27 ნოემბერს "ლოს ანჯელეს გალაქსი" ავსტრალიაში გაემგზავრება. დაგეგმილია ამხანაგური მატჩის გამართვა A ლიგის კლუბ "სიდნისთან". შეხვედრას სიდნეის ოლიმპიური სტადიონი უმასპინძლებს. ორგანიზატორებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ტრიბუნები ბოლომდე შეივსება. გალაქსი ავსტრალიაში ჩაიყვანს **დევიდ ბექჰემს**. ხელშეკრულება, რომელიც მხარეებს შორის გაფორმდა, ამერიკელებს ბექზის ჩაყვანას ოფიციალურად ავალდებულებს. ეს იქნება ინგლისელი გალაქტიკოს პირველი საზღვარგარეთული ვოიაჟი ლოს ანჯელესში გადასვლის შემდეგ. შეგახსენებთ, დევიდის პრეზენტაცია 13 ივლისისთვის იგეგმება. მან "გალაქსისთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ამ ხნის განმავლობაში 250 მილიონ დოლარს მიიღებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოპა ამერიკა 2007. ჯგუფური ტურნირი. II ტური

კრესპომ კოპა დაასრულა

C ჯგუფი

აშშ–პარაგვაი 1:3

აშშ: კელერი, ბორნშტეინი, კონრადი, დემერიტი (65. კალიფი), მური, კლარკი, ფაილჰაბერი, კლიესტანი (80. ნგუიენი), ოლსენი (71. მეპი), ჯონსონი, ტველმანი.

პარაგვაი: ვილიარი (56. ბობადილია), კასერესი, და სილვა, კლაუდიო როდრიგესი, დარიო ვერონი, ბარტეტო, ბონეტი, რივიეროსი, სანტანა (76. ვერა), კარდოსო (73. კაბანიასი), სანტა კრუსი.

გოლები: 0:1 ბარეტო (29), 1:1 კლარკი (40), 1:2 კარდოსო (55), 1:3 კაბანიასი (90).

გაფრთხილება: 1-1; **დარტყმა**: 12(7)-10(5); **ჯარიმა**: 6-14; **კუთხური**: 4-4;

არგენტინა–კოლუმბია 4:2

არგენტინა: აბონდანსიერი, აიალა, პაინცი, გაბრიელ მილიტო, ძანეტი, კამბიასო, მასკერანო, რიკელმე, ვერონი (80. ლუჩო გონსალესი), კრესპო (21. დიეგო მილიტო), მესი (84. ტევესი).

კოლუმბია: კალერო, არისალა, კორდობა, პერეა, ვალიეხო, ბანხერო, ფერეირა (76. მ.ტორესი), ვარგასი, ვიაფარა (62. კასტრიონი), პერეა (67. ჩიტივა), როდალიეგა.

გოლები: 0:1 პერეა (10), 1:1 კრესპო (19-პენ), 2:1 რიკელმე (34), 3:1 რიკელმე (45), 3:2 კასტრიონი (72), 4:2 დიეგო მილიტო (90).

გაძევება: ვარგასი (90. კოლუმბია)

გაფრთხილება: 2-4; **დარტყმა**: 6(5)-3(2); **ჯარიმა**: 12-21; **კუთხური**: 2-3.

კრესპოს ტრავმა სერიოზულია

ამერიკის ნაკრებმა ზედიზედ მეორე თამაში წააგო და გავარდნის პირას აღმოჩნდა. არგენტინელების შემდეგ, მათი წინააღმდეგობის გატეხვა პარაგვაელებსაც არ გასჭირვებიათ. ნამატჩვენ დამარცხებული გუნდის კაპიტანმა **კეისი კელერმა** თქვა, რომ მისმა მცველებმა მეტოქეს ძალიან დიდი სივრცე დაუთმეს: *"მაგრამ აქ იმისთვის ვართ, რომ ჩვენმა ახალგაზრდა ფეხბურთელებმა გამოცდილება შეიძინონ. სამწუხაროა, რომ გამოცდილებას ჩვენივე შეცდომების ხარჯზე ვაგროვებთ."*

ანგარიში **ედგარ ბარეტომ** 29-ე წუთზე გახსნა. **რიკარდო კლარკმა** 11 წუთში გაათანაბრა (მისი პირველი სანაკრებო გოლი). შესვენების შემდეგ, პარაგვაელები მალე დანინაურდნენ. 56-ე წუთზე **ოსკარ კარდოსომ ჯიმი კონრადი** მიუტევებელი შეცდომით ისარგებლა და კელერს შანსი არ დაუტოვა. მსაჯისგან დამატებულ დროში **სალვადორ კაბანიასმა** ამ ტურნირზე თავისი მესამე გოლი მიითვალა. იქამდე ამერიკელებს გათანაბრების რამდენიმე შანსი ჰქონდათ, მაგრამ მომენტები ქარს გაატანეს. აშშ-მ პარაგვაისთან ბოლო ხუთ მატჩში პირველად წააგო. სასწაული უნდა მოხდეს, რომ **ბობ ბრედლის** შეგირდებმა ჯგუფიდან გასვლა მოახერხონ. საამისოდ მათ ბოლო ტურში კოლუმბიელთა განადგურება მოუწევთ. პარაგვაელებმა კი, მექსიკელთა კვალად, მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. აქვე შეგახსენებთ, რომ ამერიკა და მექსიკა კოპა ამერიკაზე მიწვეული სტუმრების სტატუსით თამაშობენ. ბრედლის შეგირდებმა ვენესუელაში ჩასვლის წინ კონკაკაფის ოქროს თავი მოიპოვეს. მათ ფინალში მექსიკას სძლიეს. კოპე ამერიკისთვის მთავარმა მწვრთნელმა წამყვანი მოთამაშეები - **ლენდონ დონოვანი, დამარკუს ბისლი** და **კარლოს ბოკანეგრა** სახლში დატოვა და გამოუცდელ ბიჭებს უხმო. შედეგი სახეზეა. მარტო მონდომება სასურველი შედეგის მისაღწევად საკმარისი არ არის...

რაც შეეხება არგენტინელთა გამარჯვებას, **ხუან რომან რიკელმეს** დუბლს **ერნან კრესპომ** და **დიეგო მილიტომ** თითო-თითო ბურთი მიამატეს და კოლუმბიას დიდი ანგარიშით ასიამოვნეს. კოლუმბიელებმა ორ მატჩში ცხრა გოლი გაუშვეს. პირველ ტურში პარაგვაიმ მათ ხუთი უპასუხო გოლი გაუტანა. ანგარიში მე-10 წუთზე გაიხსნა. კოლუმბიელმა **პერეამ დავიდ ფერეირას** პასს ქუსლი დაუხვედრა და ეფექტური ბურთი შეაგდო. არგენტინელები თამაშგარის დაფიქსირებას ითხოვდნენ, მაგრამ ამაოდ. ცხრა წუთში ერნან კრესპომ 11-მეტრიანით გაათანაბრა. პენალტი **ლეო მესის** ნაქცევისთვის დაინიშნა, თუმცა დანამდვილებით ძნელი სათქმელია, ეუხეშნენ თუ არა მას. კრესპომ ამერიკასთან შესრულებულ დუბლს კიდევ ერთი გოლი მიამატა, მაგრამ ორ წუთში მინდორი კოჭლობით დატოვა. ის **დიეგო მილიტომ** შეცვალა. თამაშის შემდეგ გაირკვა, რომ კრესპოს ტრავმა სერიოზული იყო. ერნანისთვის კოპა ამერიკა დასრულდა. "ინტერის" თავდამსხმელი სამშობლოში გაემგზავრა.

ტაიმის დასრულებამდე რიკელმემ მეტოქე ორჯერ დაამწუხრა - ჯერ **ხავიერ ძანეტის** პასით ისარგებლა და თავით დაბალ კუთხეში შეაგდო, შემდეგ კი საჯარიმო დარტყმით ბურთი მაღალ კუთხეში გახვია. 73-ე წუთზე კოლუმბიამ სხვაობა შეამცირა. **ხაიმე კასტრიონი რობერტო აიალას** გადაახტა და თავით ეფექტური გოლი შეაგდო. თამაშის მიწურულს **ხორხე ვარგასს** მეორე ყვითელი ბარათი აუფრიალეს. მისი გასვლა და მეოთხე გოლის გატანა ერთი იყო. ეს გოლი შეცვლაზე შესულმა დიეგო მილიტომ გაიტანა. მეოთხედფინალის ერთი საგზური არგენტინასაც გადაეცა. პირველი ადგილის მფლობელის ვინაობას ბოლო ტურში არგენტინისა და პარაგვაის უშუალო დაპირისპირება გაარკვევს.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. პარაგვაი	2	2	0	0	8-1	6
2. არგენტინა	2	2	0	0	8-3	6
3. აშშ	2	0	0	2	2-7	0
4. კოლუმბია	2	0	0	2	2-9	0

ჯერემი ნიუკასლელია

ჯერემი "ნიუკასლში" ჩაირიცხა. 28 წლის ნახევარმცველი "სენტ ჯეიმს პარკზე" თავისუფალი აგენტის სტატუსით მიდის. მან ჯორდებთან სამწლიანი კონტრაქტის პირობები შეათანხმა. კამერუნელი ვარსკვლავი **სემ ელერდაისის** მეოთხე ახალწვეულია **მარკ ვიდუკას, დავიდ როზენალისა** და **ჯოი ბარტონის** შემდეგ. ჯერემის კარიერის საუკეთესო მიღწევად "რეალში" ტრანსფერი ითვლება. მადრიდელებმა ის 2002 წელს შეიძინეს, 2002 წლის ზაფხულში ერთწლიანი იჯარით "მიდლსბროს" მიაშურა, ხოლო 2003 წელს "ჩელსის" სრულუფლებიანი წევრი გახდა. გასულ სეზონში ჯერემიმ 28 მატჩი ჩაატარა. ის უმეტესად სათადარიგოთა სკამზე იყო.

ვალენსია ჰილდებრანდს წარადგენს

4 ივლისს ვალენსიელები ახალ მეკარეს წარადგენენ. ახალწვეული ყველასთვის კარგად ნაცნობი **ტომი ჰილდებრანდი**, "ტიმონატორი" იქნება. პრეზენტაციამდე ის სამედიცინო შემოწმებას გაივლის, შემდეგ კი სარფიან კონტრაქტზე მოაწერს ხელს. შეთანხმების პირობები არ ხმაურდება. ჰილდებრანდი ესპანეთში გერმანიის ჩემპიონის სტატუსით მიემგზავრება. და კიდევ, "ღამურებმა" "ბოლტონს" **ნიკოლა ანელკას** გაყიდვა შესთავაზეს. სპეკულაციების თანახმად, ფრანგ თავდამსხმელს "მანჩესტერ იუნაიტედიც" ეპატიჟება.

სანტინი ესპანეთს ირჩევს

საფრანგეთის ნაკრების ყოფილი თავკაცი **ჟაკ სანტინი** "რეკრეატივოში" ინიშნება. ამ ინფორმაციას გაზეთი "მარკა" ავრცელებს. პრინციპული შეთანხმება მიღწეულია. დეტალების გარკვევისთანავე სანტინი ესპანეთში ჩავა და მუშაობას შეუდგება. მოსიე ჟაკმა სახელი ლიონში ყოფნისას გაითქვა. საფრანგეთის ეროვნული გუნდისა და "ტოტენჰემის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე კი ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწია. უფრო მეტიც, ლონდონური კლუბიდან ის რამდენიმე თვეში გაათავისუფლეს.

ინტერვიუ დავიდ ტრეზეგესთან

მოვწონს ის იუვე, როგორიც მეორე ადგილს აზრადაც არ გაივლებს

რანიერიმ ტრეზეგეს მინიმუმ 20 გოლი შეუკვეთა

დავიდ ტრეზეგე

ივნისის დასაწყისში თითქოს გადაწყვეტილი იყო, რომ დავიდ ტრეზეგე "იუვენტუსს" დატოვებდა. ფეხბურთელს კონფლიქტი მოუვიდა კლუბის ხელმძღვანელობასთან, რომელმაც "ინტერთან" მოლაპარაკება აუკრძალა. "ეს კლუბი პატივს არ მცემს," - თქვა მაშინ გაბრაზებულმა ტრეზეგემ და წასასვლელად მოემზადა... მანამდე კი, ვერ ხერხდებოდა მორიგება კონტრაქტის გაგრძელებაზე და ტურინელებმა ახალი ფორვარდის ძებნაც დაიწყეს. მაგრამ ბევრისთვის მოულოდნელად, ყველაფერი მოგვარდა. ოთხიოდ დღით უკან ტრეზეგემ ხელი მოაწერა "იუვენტუსთან" ახალ ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც "ბებერ ქალბატონთან" 2011 წლამდე ითანამშრომლებს. კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, ფრანგმა ფორვარდმა მედიისთვის სახელდახელო პრესკონფერენცია მოაწყო. მას თან ახლდნენ კლუბის პრეზიდენტი ჯოვანი კობოლი ჯილი და გენერალური მენეჯერი ჟან-კლოდ ბლანი. ახალი შეთანხმების გამო "იუვეს" ოფიციოზმა კმაყოფილება ვერ დამალა. ჟურნალისტთა კითხვების ადრესატი, ძირითადად, ტრეზეგე იყო...

- გაზეთი "ტუტოსპორტი" გამოვიდა სათაურით - "ტრეზეგოლი, სამუდამოდ "იუვენტუსში". ეთანხმებით ამ პათოსს?

- დიახ, ეს ჩემი სურვილია. თავიდან, კლუბმა ორწლიანი კონტრაქტი შემომთავაზა. მიმდინარე კი, იცით ალბათ, 2008 წელს იწურება. ხანგრძლივი განხილვის შემდეგ, მივედით ერთ აზრამდე და ხელშეკრულება კიდევ 3 წლით გავაგრძელეთ... ძალიან კმაყოფილი ვარ. ვგრძნობ დიდ მოტივაციას და დარწმუნებული ვარ, მომდევნო ოთხის წლის განმავლობაში "იუვეს" ბევრ სარგებელს მოვუტან და თავადაც მივაღწევ იმ მიზნებს, რაც საკუთარ თავს დავუსახე.

- მაგალითად...

- ბოლო 7 წლის განმავლობაში სკუდეტოც არა ერთხელ მოვიგე და ჩემპიონთა ლიგაშიც ვითამაშე. ტიტულები კიდევ მინდა... მაგალითად, ლიგის მოგება. ამას გარდა, მაქვს პერსონალური მიზანიც: "იუვენტუსის" მაისურით 200 გოლი უნდა გავიტანო.

- როგორ აპირებთ ამას?

- დიდი შრომისა და თავდადების ხარჯზე. ამ მომენტისთვის 140 გოლი მაქვს გატანილი. სადღაც 10 გოლი მაკლია იმისთვის, რომ სერია A-ში 100-გოლიან ზღვარს გადავაბიჯო. ეს არის სწორედ უახლოესი ამოცანა და დანარჩენი კი მერე იყოს...

- როგორ ფიქრობთ, არის "იუვენტუსი" მზად იმისთვის, რომ ჩემპიონობისთვის იბრძოლოს?

- რაკი დავრჩი, ეს იმას ნიშნავს, რომ სკუდეტოს მოგება სრულიად რეალურად მეჩვენება. მაგრამ არ დაგიმალავთ, რომ ცოტა ხნის წინათ ეს ძალიან მაეჭვებდა. ახლა კი მომწონს კლუბის სატრანსფერო პოლიტიკა და ყველა პირობა იქმნება იმისთვის, რომ ძლიერი გუნდი გავაკეთოთ. დიახ, სკუდეტო უნდა იყოს ჩვენი უპირველესი მიზანი და არა მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის საგზური. მე მომწონს "იუვე", რომელიც მეორე ადგილს აზრადაც არ გაივლებს.

- ოთხწლიან კონტრაქტს ხელი ისე მოაწერეთ, საკუთარ ფიზიკურ პოტენციალში არ დაეჭვებულხართ?

- ალბათ, გასული სეზონი გაქვთ მხედველობაში... იცით, საკუთარ თავში ახლა აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ. ბოლო ჩემპიონატი გუნდისთვისაც და პერსონალურად ჩემთვისაც მარტივი არ ყოფილა. შესაძლებლობები სრულად ვერ გამოვავლინე, ეს ფაქტია და ამას ვერსად გავექცევი. რაც არ უნდა იყოს, სერია B-ში თამაში გამიჭირდა, პირველ რიგში, მენტალურად. ამდენად, პრობლემა ფსიქოლოგიაში იყო და არა ფიზიკურობაში...

- ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკებები რთული იყო. როდის დადგა გარდატეხის მომენტი ამ პროცესში?

- ცოტა ხნის წინათ, "იუვენტუსის" პრეზიდენტმა, კლუბის სახელით, მამაჩემს დაურეკა და დაარწმუნა, რომ კვლავაც მენდობოდნენ და მაფასებდნენ. სწორედ ამის გაგება მინდოდა. ვიგრძენი, რომ "იუვესთვის" ისევ საჭირო ვიყავი. მე ვფიქრობ, შვიდწლიანი შრომის შედეგად, ეს პატივისცემა და ნდობა ნამდვილად დავიმსახურე. ვიდრე შვებულებით იაპონიაში გავემგზავრებოდი, უკმაყოფილო ვიყავი და ეს ყველამ იცოდა, მაგრამ როცა დავბრუნდი, სიტუაცია რადიკალურად შეცვლილი დამხვდა. ეს შევატყვე მამაჩემსაც, რომელიც ტურინში ოპტიმისტური განწყობით შემეგება.

- ნამდვილად იყო იმის შესაძლებლობა, რომ სხვა კლუბში გადასულიყავით?

- დიახ, ამაზე უკვე სერიოზულად ვფიქრობდი... მაგრამ თუ "იუვენტუსიდან" მიდიხარ, მხოლოდ სუპერკლუბში უნდა წახვიდე.

- ახლა უკვე საიდუმლო აღარ არის: რომელ კლუბებზე იყო საუბარი?

- "რეალი", "ბარსელონა", "მანჩესტერ იუნაიტედი", "ჩელსი"...

- ...და" ვალენსია"?

- "ვალენსიაც" იყო დაინტერესებული, მაგრამ ამ კლუბის მიმართ უდიდესი სიმპათიების მიუხედავად, ის ჩემს ამბიციებს არ შეეფერება. ახლა არ შემიძლია იმაზე გიპასუხოთ, დღევანდელი "ვალენსია" უფრო ძლიერია თუ "იუვენტუსი", მაგრამ მას მერე, რაც ტურინში ამდენი დრო დავყავი, ახალი კლუბის არჩევა ძალიან გამიჭირდა... ვაღიარებ...

- თქვენამდე კონტრაქტი ბუფონმაც გააგრძელა. დარჩა კამორანეზი...

- თუ ჩემს სიტყვას რაიმე წონა აქვს, მაშინ მოვუწოდებდი "იუვენტუსის" ხელმძღვანელობას, კამორანეზი ხელიდან არ გაუშვას. ის გუნდისთვის ძალიან ძვირად ფასობს.

- და მაინც, რა პოტენციალი აქვს დღევანდელ "იუვენტუსს"?

- მშვენიერი შევსება მივიღეთ და ამიტომ, მინდა კიდევ ერთხელ გაგიმეოროთ: ჩვენ გვაქვს სკუდეტოს მოგების რეალური პოტენციალი და არც "მილანის" გვეშინია, არც "ინტერის".

- როგორ წარმოგიდგენიათ იაკუინტას გვერდით თამაში?

- ის ბრწყინვალე ფეხბურთელია. კარგად შეუძლია "მეორე სიჩქარით" თამაში, მწვავე გადაცემების გაკეთებაც შეუძლია და ვფიქრობ, კარგად შევეწყობით ერთმანეთს.

- რას იტყოდით ტიაგოზე?

- მის სათამაშო სტილს კარგად ვიცნობ. საფრანგეთის ჩემპიონატს ვუყურებდი და ნანახი მაქვს, რას წარმოადგენდა ტიაგო "ლიონში".

- ზიდანს ჰგავს თუ უფრო დეშამს?

- რაღაც საშუალოს. კარგ ტექნიკასთან ერთად, მას ბურთის ართმევაც შეუძლია... ჰო, მართლა, იცით, კიდევ რატომ მომწონს ტიაგო?

- რატომ?

- პორტუგალიელია და იმიტომ. ამ ხალხში არის რაღაც, სამხრეთამერიკული... რაღაც აუხსნელი გენიალობა...

- ალპირონიც მოგწონთ, რა თქმა უნდა. ისიც ხომ სამხრეთამერიკელია, არგენტინელი...

- ძალიან გამიხარდა, რომ ჩვენთან გადმოვიდა. ის ნამდვილი ვერონიაა!

- კლაუდიო რანიერისთან ჯერ არ გისაუბრიათ?

- როგორც კი კონტრაქტს ხელი მოვაწერე, დამირეკა და მომილოცა. გულწრფელად უხაროდა. უკვე დავალებაც მომცა: თუ სერია B-ში 15 გოლი გაიტანე, სერია A-ში მინიმუმ 20 შეაგდო, სხვა შემთხვევაში რა აზრი ექნებოდა შენს დატოვებასო? შესანიშნავი ადამიანია...

- ყოველთვის გემახსოვრებათა ის 15 გოლი, რომელიც სერია B-ში გაიტანე?

- ძალიან უცნაური სეზონი იყო... წმინდა ადამიანური ფაქტორიდან გამომდინარე, დამიჯერეთ, უაღრესად რთული იყო დემორალიზებული გუნდის ხელახლა მომართვა. მაგრამ გამოცდილი ფეხბურთელებიც და გამოუცდელებიც ერთ მუშტად შევიკარით და ჩვენი ადგილი დავიბრუნეთ.

- მომავალი სეზონისთვის ახლობლებს VIP-ლოჟა უკვე დაუჯავშნეთ?

- რა თქმა უნდა, ჩემი პირადი ფანები ყოველთვის ჩემთან იქნებიან.

- ახალი სეზონი, წესით, გაცილებით საინტერესო და დამაინტრიგებელი უნდა იყოს...

- მოუთმენლად ველი "მილანთან", "რომასთან" და, რაც მთავარია, "ინტერთან" შეხვედრებს... რა დიდებულია...

ვერდერი

სიახლე? მხოლოდ ფორმა

ბრემენში ახალი მუსიკოსი არ ჩანს...

შარშან ამ დროს, ბრემენის „ვერდერმა“ მზადება **დიეგოს, პიერ ვომეს, პერ მერტეზაკერისა** და **უგო ალმეიდას** წარდგენით დაიწყო. გასულ სეზონში ბრემენულ კლუბს ოთხივე ახალწვეული ძალიან გამოადგა, განსაკუთრებით კი ბრაზილიელი გამთამაშებელი დიეგო, რომელიც „ვეზერშტადიონის“ პუბლიკის უსაყვარლესი ფეხბურთელი გახდა. ამჯერად კი, „მუსიკოსები“ სატრანსფერო ბაზარზე ჯერჯერობით ხელმოცარულები არიან. ვერ ვიტყვით, რომ **თომას შაფი** გუნდს აუცილებლად სჭირდება რამდენიმე ფეხბურთელი, რადგან „ვერდერი“ თითქმის ყველა პოზიციაზე საკმაოდ კარგადაა დაკომპლექტებული, მაგრამ ერთი რამ ცხადია: **მიროსლავ კლოზეს** წასვლის შემდეგ, თავდასხმაში ერთი სიცარიელე გაჩნდა, რომელსაც შევსება სჭირდება.

მოკლედ, მომდევნო სეზონისთვის მზადებას „ვერდერიც“ შეუდგა. შეუდგა ახალწვეულების გარეშე და დიდი შანსია, რომ „მუსიკოსებმა“ არც არავინ იყიდონ. არა იმიტომ, რომ ფინანსურად უჭირთ, არამედ იმის გამო, რომ ბოსების აზრით, გაძლიერება აუცილებელი არ არის. ბრემენული კლუბის ერთადერთი სიახლე ახალი ფორმა და ახალი მთავარი სპონსორი გახლავთ. ერთი წლის წინათ, „ვერდერსა“ და ონლაინ-ტოტალიზატორ „ბეთ ენდ ვინს“ შორის გაფორმებულ კონტრაქტს ვადა გაუვიდა და მხარეებს თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი აღარ გასჩენიათ. „მუსიკოსთა“ ახალი სპონსორი ბრემენული citibank იქნება. ახალი ფორმა კი ძველზე გაცილებით მოხდენილი და ლამაზია – ღია მწვანე, ანუ, ბუნდესვერის (გერმანიის ჯარი) ფერის. დიზაინი ოდნავაა შეცვლილი.

ფორმების პრეზენტაცია

„სატრანსფერო ბაზარზე დიდად აქტიურობას არ ვაპირებთ. ყოველ შემთხვევაში, მოვლენებს თვალ-ყურს ვადევნებთ. მე არ ვფიქრობ, რომ კლოზეს შემცვლელი აუცილებლად უნდა ვიყიდოთ. ჯერ ერთი, მისი დარი ფორვარდის ყიდვა ურთულესია, ხოლო მასზე დაბალი დონის ფორვარდები კი არ გვჭირდება. ჩვენ გვყავს მარკუს როზენბერგი, უგო ალმეიდა, ივან კლასნიჩი და აარონ ჰანტი – ვფიქრობ, ეს საკმარისია. სხვა პოზიციებზე კი არაფერი შეცვლილა, ყველა წამყვანი მოთამაშე გუნდში დარჩა. ასე რომ, ნამდვილად არ იქნება ურიგო, თუკი მომდევნო სეზონს ახალწვეულების გარეშე შევხვდებით,“ – განაცხადა გუნდის გენერალურმა მენეჯერმა **კლაუს ალოფსმა** პირველი ვარჯიშის შემდგომ გამართულ პრეს-კონფერენციაზე, რომელზეც ახალი ფორმა ახალი ფეხბურთელების ნაცვლად, მოდელებმა წარადგინეს.

რაც შეეხება გუნდის მიზნებს – აი, რას ამბობს მთავარი მწვრთნელი **თომას შააფი**: *„ყველა ტიტულის მოგება გვინდა, ეს არის ჩვენი პროგრამა მინიმუმიცა და მაქსიმუმიც!“* აქვე შეგახსენებთ, რომ გუნდთან ერთად ჯერ ვერ ვარჯიშობენ დიეგო და **ნალდო**, რომლებიც ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში კოპა ამერიკაზე ასპარეზობენ.

მორიგი სკანდალი ჰანტის გარშემო

აარონ ჰანტი რომ სკანდალური პიროვნებაა და ამ მხრივ ძალიან ჰგავს **ანტონიო კასანოს**, ამის შესახებ არაერთხელ დაგვიწერია და „ვერდერის“ გულშემატკივრებმა ეს კარგად იციან. 20 წლის „ქუჩის ბიჭს“ ისევ პრობლემები აქვს! შაბათს ჰანტს იმ დროს წაასწრეს, როცა ქუჩაში თანაგუნდელ **დომინიკ შმიდტს** აგინებდა და ცემით ემუქრებოდა. შმიდტიც 20 წლისაა და „ვერდერის“ მეორე გუნდში თამაშობს. შმიდტმა მომხდარზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა, მაგრამ ჩხუბის მიზეზი მაინც გაირკვა, რადგან აი, რა განუცხადა ჰანტმა „ბილდს“: *„ეგ ნაბიჭვარი ჩემს შეყვარებულს აწუხებდა. ჯენიფერმა ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ მითხრა, მანუხებსო. მაშინ შევხვდი და ვუთხარი, შეეშვი, თორემ ცუდი დღე დაგადგება-მეთქი. თავი მაინც არ დაანება, ურეკავდა და ტექსტურ შეტყობინებებს უგზავნიდა. ჰოდა, გადავწყვიტე, ყველაფერი გამერკვია და მეგობართან ერთად მივაკითხე. ყველაფერი გარკვეულია!“*

მიუხედავად იმისა, რომ ჰანტს მიზეზი ჰქონდა, ჩვენი გერმანელი კოლეგები მას ამის გამო მაინც აკრიტიკებენ – პროფესიონალი მოყვარულს ასე არ უნდა მოექცესო. მაგრამ მთავარია, როგორ უყურებს მომხდარს ალოფსი. „ვერდერის“ ბოსი ჰანტს მხარს უჭერს და ამბობს: *„აარონს ველაპარაკე, ვიცი, რაც მოხდა. ის დამპირდა, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდება, რადგან ყველაფერი მოგვარებულია. მეც პრობლემას ვერ ვხედავ – აარონის ადგილზე ნებისმიერი მამაკაცი ასე მოიქცეოდა. შესაბამისად, მის დასჯას არ ვაპირებთ!“*

გოტფრიდ ლენცი

„შალკეს“ გულშემატკივრებმა ძალიანაც რომ მოინდომონ, სასურველი სასტარტო შემადგენლობის დასახელება მაგრად გაუჭირდებათ. პირველ რიგში იმის გამო, რომ ჯერ კიდევ არაა ცნობილი, თუ რომელი საყრდენი ნახევარმცველი გააძლიერებს **მირკო სლომკას** გუნდს – **სტეფან აპია** (26 წლის, „ფენერბაჰჩე“) თუ **ლეონ ანდრეასენი** (24 წლის, „ვერდერი“). და მეორე: აბსოლუტურად ყველა პოზიციაზე დიდი კონკურენციაა, რასაც გუნდის გენერალური მენეჯერი, **ანდრეას მიულერიც** ხედავს და უხარია. *„მომდევნო სეზონში ყველა პოზიციაზე ძალიან საინტერესო და დაძაბულ დუელებს ველი. ეს ძალიან კარგია, რადგან იმას ნიშნავს, რომ ყველა ფეხბურთელი ფხიზლად იქნება,“* – ამბობს მიულერი.

„კიკერმა“ წინასწარ გაშიფრა ის დუელები, რასაც მომავალ სეზონში ექნება ადგილი. აღსანიშნავია, რომ **ლევან კობიაშვილის** კონკურენტად არა რომელიმე ნახევარმცველი, არამედ მარცხენა მცველი **კრისტიან პანდერი** დასახელდა – მოთამაშე, რომელსაც საკმაოდ კარგი სეზონი ჰქონდა და რომელიც ერთ-ერთ უნიჭიერეს გერმანელ მარცხენა მცველად მიიჩნევა. არადა, კობიმ მატჩების უმეტესობა ნახევარდაცვაში ჩაატარა! ჩვენი გერმანელი კოლეგები უბრალოდ ვარაუდობენ, რომ მომდევნო სეზონში სლომკა ლევანს დაცვაში გადაიყვანს, რადგან შუა ხაზში გელზენკირხენელებს ისედაც ძალიან დიდი არჩევანი აქვთ. **ფაბიან ერნსტი, ზლატან ბაირამოვიჩი, მესუთ იოზილი,** „აინტრახტიდან“ ნაყიდი **ჯერმენ ჯონსი** და **„ბაზელიდან“** გადმოყვანილი **ივან რაიტიჩი**. ამათ დაუმატეთ აპია ან ანდრეასენი და მიხვდებით, რომ „კიკერის“ ვარაუდი რეალობასთან ძალიან ახლოსაა.

რაკი გასულ სეზონში სლომკას კობიაშვილი ნახევარდაცვაში უფრო სჭირდებოდა, როცა პანდერი ტრავმირებული იყო, მარცხენა მცველად ხან **დარიო როდრიგესს** ათამაშებდა ხოლმე, ხანაც **მლადენ კრსტაიჩს**, რომლებიც ცენტრალური მცველები არიან და მარცხნივ არც ისე კარგად გამოიყურებიან. ამრიგად, მომავალ სეზონში სლომკას ლევანი დაცვაში უფრო უნდა დასჭირდეს.

კურანი VS ლარსენი

თუკი სლომკა ისევ მრავალნაკადი 4-3-3-ით ითამაშებს, მაშინ **სიორენ ლარსენს** ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი არა აქვს, რადგან ცენტრფორვარდის პოზიციაზე ადგილი **კევინ კურანის** ექნება განაღდებული, რომელმაც გასულ სეზონში 15 გოლი და 11 საგოლე პასი მიითვალა. სამაგიეროდ, ლარსენი შარშანწინ კურანიზე ეფექტური გახლდათ, მაგრამ მერე ტრავმებმა გატანჯეს და სასტარტოში ადგილიც დაკარგა.

შანსები: 90/10 კურანის სასარგებლოდ.

ასამოა VS ჰალილ ალთინთოფი

ეს ორი მოთამაშე 4-3-3 სქემაში მარჯვენა თავდამსხმელის, ხოლო 4-4-2 სქემაში კი მეორე ფორვარდის პოზიციისთვის იბრძვის. ასამოას უმთავრესი პლუსი ის გახლავთ, რომ მის წინააღმდეგ ძალიან ხშირად არღვევენ თამაშის წესებს. სამაგიეროდ, ალთინთოფი, როგორც ფორვარდი, გაცილებით სახიფათოა. მიუხედავად ამისა, ჩვენი გერმანელი კოლეგები ფიქრობენ, რომ სლომკა უპირატესობას ასამოას მიანიჭებს.

შანსები: 60/40 ასამოას სასარგებლოდ.

ბაირამოვიჩი VS ჯონსი

ეს ფეხბურთელები საყრდენის პოზიციისთვის იბრძვიან. ბაირამოვიჩმა გამოჯანმრთელების შემდეგ დაამტკიცა, რომ გუნდისთვის ძალიან საჭირო ფეხბურთელია. ბოსნიელი მუდამ საბრძოლველადაა შემართული და არცერთ ორთაბრძოლას არ ერიდება – ზლატანი შავ სამუშაოსაც კარგად ასრულებს და შორიდან დარტყმებიც ჩინებულად ეხერხება. ჯერმენ ჯონსი კი უფრო დინამიური, ტექნიკური და ოდნავ ნაზი შუამბრბია, რომელიც ძალიან ხშირად იღებს ტრავმებს.

შანსები: 50/50.

რაკიტიჩი VS იოზილი

ორი კანდიდატი გამთამაშებლის პოზიციისთვის, ანუ იქ, სადაც ლინკოლნი ასპარეზობდა. აქვე აღსანიშნავია, რომ იოზილს, რომელმაც გასული სეზონის ბოლოს ძირითადი შემადგენლობიდან კობიაშვილი ამოაგდო, მარცხენა გარემარბის ფუნქციების შესრულებაც შეუძლია, მაგრამ ამ პოზიციაზე **პეტერ ლოვენკრანდსი** თამაშობს ხოლმე, რომელიც იმხანად ტრავმირებული გახლდათ. ივან რაკიტიჩი უდიდეს ტალანტად მიიჩნევა. მან შვეიცარიის ჩემპიონატში უკვე დაამტკიცა, რომ მაღალი დონის ფეხბურთელია, ახლა კი ძალებს ბუნდესლიგაშიც მოსინჯავს. ცხადია, რომ რაკიტიჩი, რომელმაც მე-10 ნომერი მიიღო, გერმანიის პირველობას ჯერ უნდა შეეჩვიოს. იოზილი უფრო სწრაფია, მაგრამ მას ეფექტურობა აკლია, რაც რაკიტიჩს ნამდვილად აქვს.

შანსები: 60/40 რაკიტიჩის სასარგებლოდ.

კრსტაიჩი VS ვესტერმანი

დაცვის ცენტრში ორი ადგილია. აქედან ერთი **მარსელო ბორდონს** აქვს განაღდებული. მეორე ადგილისთვის კი მლადენ კრსტაიჩი და „არმინიიდან“ ნაყიდი **ჰაიკო ვესტერმანი** იბრძოლებენ. „შალკეს“ ფანები უპირატესობას კრსტაიჩს ანიჭებენ და ამბობენ, რომ ვესტერმანი მისი იდეალური შემცვლელია. ამრიგად, ეს უკანასკნელი სერბის სერიოზული კონკურენტია.

შანსები: 70/30 კრსტაიჩის სასარგებლოდ.

პანდერი VS კობიაშვილი

„კიკერი“ წერს, რომ კობი და პანდერი ორი განსხვავებული ფილოსოფიის მქონე მარცხენა მცველები არიან. შეტევაში პანდერი სჯობნის ქართველს, სამაგიეროდ, კობი თავდაცვის დროს უფრო ეფექტური და სანდოა. ჩვენი გერმანელი კოლეგების აზრით, კობიაშვილს ჩემპიონთა ლიგის მატჩების დროს ექნება უდავო უპირატესობა. ბუნდესლიგაში კი, სლომკა უპირატესობას პანდერს მიანიჭებს.

შანსები: 60/40 პანდერის სასარგებლოდ.

გოტფრიდ ლენცი

შალკე

უმძაფრესი კონკურენცია

მიულერი: იჭავით ფხიზლად!

მაქსი ლოპესი ლისაბონში ოლიმპიკის უხმეს

ლისაბონის “სპორტინგი” **მაქსი ლოპესით** დაინტერესდა. არგენტინელი თავდამსხმელი “ბარსელონის” საკუთრებაა. კატალონიელები მოლაპარაკებების გამართვაზე თანახმანი არიან. ლოპესი 4 მილიონი გირვანქა ღირს. ლისაბონელებს, რომელთაც ფლეიმეიქერი ანდერსონი “მანჩესტერ იუნაიტედში” გაყიდეს, ფულის პრობლემა არ აქვთ.

ლევერკუზენმა პავლიუჩენკო მოიკითხა

მოსკოვის “სპარტაკის” თავდამსხმელმა **რომან პავლიჩენკომ** “ლევერკუზენის” ყურადღება მიიპყრო. გერმანული კლუბი მას “ლივერპულში” წასული **ანდრეი ვორონინის** შემცვლელად მოიაზრებს. პავლიუჩენკო 25 წლისაა. ლივერკუზენელი ემისრები მოსკოველთა რამდენიმე შეხვედრას დაესწრნენ და დირექტორებს ტრანსფერზე მუშაობის დაწყება შესთავაზეს. მაგრამ პავლიუჩენკოს შეძენა მოლი არ იქნება. “სპარტაკი” საუკეთესო ფეხბურთელების გაყიდვას არ აპირებს. კლუბი ჩემპიონთა ლიგის ახალი სეზონისთვის ემზადება. თანაც ამ ბიჭს მარტში ახალი ხანგრძლივი და სარფიანი კონტრაქტი გაუფორმა.

ვოლფსბურგმა რიკარდო კოშტა იყიდა

„ვოლფსბურგმა“ „პორტუს“ მცველი **რიკარდო კოშტა** გადაიბირა. „მგლების“ მწვრთნელი და მენეჯერი **ფელიქს მაგათი** პორტუგალიელებს კვირას შეუთანხმდა. ფეხბურთელი „ფოლკსვაგენის“ ქალაქში გუშინ ჩავიდა და სამედიცინო შემოწმება გაიარა, რის შემდეგაც ისევ სამშობლოსკენ აიღო გეზი, რათა აწ უკვე ყოფილ კლუბთან კონტრაქტი გაწყვიტოს. პორტუგალიური პრესის ცნობით, „ვოლფებს“ კოშტა 4 მილიონი ევრო დაუჯდებათ. 26 წლის მცველმა “ვოლფებთან” კონტრაქტი 2010 წლამდე გააფორმა. „ვოლფსბურგში“ მან **კევინ ჰოფლანდი** უნდა შეცვალოს – ფეხბურთელი, რომელმაც „ფეიენოორდს“ მიაშურა.

ლუსიო: ბაიერნიდან ზენიტში?

სანქტ პეტერბურგის “ზენიტი” “ბაიერნის” ცენტრალური მცველის **ლუსიოს** შეძენას ცდილობს. მიუნხენელებს ფინანსური პრობლემები არ გააჩნიათ, რომ წამყვანი ფეხბურთელის გაყიდვა სურდეთ, მაგრამ შეთავაზებული თანხა იმდენად დიდია, რომ გარიგება სავსებით რეალურად უნდა ჩაითვალოს. რუსები 29 წლის მოთამაშეში 20 მილიონ ევროს იხდიან, იმდენივეს, რამდენიც წლევანდელი სეზონის წინ “შახტარისა” და უკრაინის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველის, **ანატოლი ტიმოშჩუკის** სანაცვლოდ გადაიხადეს. პეტერბურგელთა თავკაცი **დიკ ადვოკაატი** ცენტრალური მცველების თამაშით უკმაყოფილოა. ის ნორვეგიელი **ჰაგენის** გაყიდვას აპირებს. მის შემცვლელად კი სახელგანთქმული ბრაზილიელი ესახება.

ლიონი სილვესტრს უმიზნებს

“ლიონის” პრეზიდენტმა **ჟან მიშელ ოლამ** ჟურნალისტებს აუწყა, რომ “მანჩესტერ იუნაიტედის” ფეხბურთელს ყიდულობს. ჟურნალისტები დაინტერესდნენ, იგეგმება თუ არა “პარი სენ ჟერმენის” ცენტრალური მცველის **სილვენ არმანის** ტრანსფერი. მოსიე ოლამ მიუგო, რომ ამ ფეხბურთელის შეძენა მთავარ მწვრთნელ ალენ პერენს სურს, მაგრამ გარიგება ძალიან ძნელი იქნება. მისივე თქმით, დასასრულს უახლოვდება მოლაპარაკებები “ინტერთან” ფაბიო გროსოს თაობაზე, აგრეთვე “მანჩესტერ იუნაიტედთან”, თუმცა პრეზიდენტმა მანჩესტერელის ვინაობის გამხელა არ ისურვა. მიმომხილველებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ოლა ფრანგ მცველ **მიკაელ სილვესტრს** გულისხმობს. შემთხვევითი არ იყო, რომ “იუნაიტედის” ახალ საკლუბო ფოტოზე ამ ბიჭისთვის ადგილი არ მოიძებნა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა
GEORGIA

ჭიდაობურითი

ახალგაზრდული ნაკრები. ევროპის ჩემპიონატის წინ

შეცდომები აღარ უნდა გავიმეოროთ

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

დღეს, გამთენიისას, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები სლოვენიაში გაფრინდა, სადაც 6 ივლისიდან ევროპის ჩემპიონატში ჩაერთვება. ევროფორუმზე ნასვლის წინ, 20-წლამდელები სრული შემადგენლობით კაფე "მსოფლიო სპორტში" შეიკრიბნენ, მზადებაზეც ისაუბრეს და მიზნებზეც. მთავარი სიახლე კი შემადგენლობაში მომხდარი ცვლილება იყო: უკრაინასთან ამხანაგურ მატჩში ხელი მოიტეხა **დიმიტრი ფაცაციამ**, რომელიც დინამოელმა **ირაკლი გულისაბედაშვილმა** შეცვალა. ბურთის ჩატენვისას, უკრაინელი მეფარე ფაცაციას უხეშად დაეჯახა და ტრავმა მიაყენა...

"ფაცაციამ უკრაინული ტურნე კარგად დაიწყო. ის ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ იქცა და იოლი მისახვედრია, რომ ევროპის ჩემპიონატზე ძალიან დაგვაკლდება", - თქვა ახალგაზრდების თავკაცმა **დავით უსტიაშვილმა**.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ირაკლი გულისაბედაშვილი ფაცაციას ღირსეული შემცვლელია. დინამოელი, 20-წლამდელებთან ერთად, შეკრების პირველივე დღიდან ვარჯიშობდა და მხოლოდ უკრაინული ტურნე გამოტოვა. სწორედ კიევური მატჩების შემდეგ გამახვილდა ყურადღება მეტოქის უკანახაზელთა უპირატესობაზე. გულისაბედაშვილი ამპლუით მსროლელია და მისი დამატება უკანა ხაზს გააძლიერებს.

უკრაინულ მატჩებზე უსტიაშვილმაც ისაუბრა: *"კიევში არაერთი შეცდომა დავინახეთ, რომელთა გამოსწორება იქვე ვცადეთ. 6 ივლისამდე ამ მიმართულებით კიდევ ვიმუშავებთ. შედარებით უკეთესად მეორე შეხვედრა ჩავატარეთ. შეტევაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ იმ მატჩში დაცვაში თამაშით მეტნაკლებად კმაყოფილი დავრჩი. აქვე აღვნიშნავ, რომ უკრაინას ძლიერი ნაკრები ჰყავს. ამ გუნდთან შარშანაც ვითამაშეთ და მას შემდეგ, შემადგენლობა თითქმის არ შეუცვლიათ. 3 ძლიერი უკანახაზელი ჰყავთ და გუნდურადაც კარგად გამოიყურებიან"*.

20-წლამდელთა მეორე მწვრთნელმა **გელა ნულაძემ** ხაზი სწორედ გუნდურობას გაუსვა: *"ცუდი შემადგენლობა არ გვყავს, მაგრამ მთავარია, ევროპის ჩემპიონატამდე სათანადოდ შევიკრათ. ამ მხრივ, 4 ივნისიდან დღემდე ბევრს ვმუშაობთ და სიტუაცია უკეთესობისკენ მიდის, თუმცა ოფიციალურ შეხვედრებში ყოველგვარი ხარვეზი უნდა აღმოიფხვრას. იქ ხომ თითო შეცდომამაც შეიძლება სავალალო შედეგი მოიტანოს"*.

მწვრთნელებმა მეტოქეებზე მხოლოდ ზოგადად ისაუბრეს, რადგან არც ბულგარეთის, არც იტალიისა და არც ლატვიის ახალგაზრდულ ნაკრებების მატჩები არ უნახავთ. ამის მიუხედავად, დავით უსტიაშვილი სლოვენიაში ოპტიმისტური განწყობით მიემგზავრება:

"ჩვენი მთავარი მიზანი A დივიზიონში ადგილის შენარჩუნებაა. ამისთვის, პირველივე მატჩებიდან უნდა ვიბრძოლოთ, რადგან ოთხგუნდიან ჯგუფში თუნდაც მესამე ადგილის დაკავება A ლიგაში დარჩენის გარანტიაა. რაღაც შანსი ბოლოადგილოსნებსაც ექნებათ, მაგრამ საქმე აქამდე არ უნდა მივიყვანოთ".

გიორგი შერმადინმა ეროვნული გუნდის ვარჯიშს სათადარიგოთა სკამიდან რომ მიადევნა თვალი, ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოგახსენეთ. ამის მიზეზი მცირე ტრავმა იყო, თუმცა მან დაგვაიმედა, რომ 6 ივლისამდე მზადყოფნაში იქნება. ზემოხსენებული ვარჯიშისას ახალგაზრდების კაპიტანმა **რევაზ დიდიამ** ფეხი გადაიბრუნა: *"კოჭი ცოტა მაწუხებს, მაგრამ ტრავმა სერიოზული არ არის და სლოვენიაში ვარჯიშს განვაახლებ"* - მშვიდადაა რეზო.

პრესკონფერენციისას, "მაკაბის" მწვრთნელმა **ჯამლეტ ხუხაშვილმა** 20-წლამდელებს მოკლე ლექცია წაუკითხა კალათბურთსა და პატრიოტიზმზე, რითიც კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ მათ უკან მთელი საქართველოა...

პრესკონფერენციის მიწურულს კი ბიჭებმა ღიმილით გაიხსენეს უკრაინელებთან მომხდარი ინციდენტი: ბოლო მატჩის შუაში მცირე შელაპარაკება გუნდურ ჩხუბში გადაზრდილა - თამაში ვერა, მაგრამ ამ საქმეში მეტოქეს ნამდვილად ვაჯობეთ. სწორედ მაშინ გამოჩნდა ჩვენი ერთიანობა, რაც ევროპის ჩემპიონატზეც დაგვეხმარებაო...

ვაჟა სიმონიშვილი



ნიკა ცქიტიშვილი

ლეგიონერი

ცქიტიშვილი ისევ დენვერში?

გუშინ, დენვერის სპორტული მედია **ნიკა ცქიტიშვილის** "ნაგეტსში" შესაძლო დაბრუნებაზე საუბრობდა. ქართველი ფორვარდი, ყოფილ კლუბთან ერთად, ლას ვეგასის საზაფხულო ლიგაში ითამაშებს და მისი NBA-ში დაბრუნებაც სწორედ იქ გამოსვლაზე იქნება დამოკიდებული. აი, რა წერია პრესაში:

"როგორც წესი, ნიკოლოზ ცქიტიშვილი საზაფხულო კემპებს მაღალ დონეზე ატარებს და "ნაგეტსის" არენაზე მოვარჯიშე ქართველი რომ იხილეს, კლუბის ხელმძღვანელებმა "დენვერთან" ერთად ლას ვეგასის ლიგაში თამაში შესთავაზეს. "სკიტას" უარი არ უთქვამს, თუმცა ცნობილია, რომ ის კემპში მონაწილეობას "სან ანტონიოს" მაისურით აპირებდა. შეგახსენებთ, რომ ცქიტიშვილი "დენვერ ნაგეტსმა" 2002 წლის დრაფტზე, მე-5 ნომრად აიყვანა, 2005 წელს "გოლდენ სტეიტში" გაუშვა, რის შემდეგაც ნიკოლოზმა კიდევ სამი კლუბი გამოიცვალა - "მინესოტა ტიმბერვულვზი", "ფინიქს სანზი" და "ნიუ იორკ ნიქსი". გასული სეზონი კი ესპანური "კახა სან ფერნანდოს" მაისურით ჩაამთავრა" - ვკითხულობთ "დენვერ პოსტში".

ცქიტიშვილის გვერდით, "ნაგეტსში" ითამაშებენ NBA-ში გამოცდილი **დეჟუან ვაგნერი** და ესპანეთის ჩემპიონი, ბელგიელი **ალექს ჰერველე** ("რეალი"). დავძენთ, რომ ლას ვეგასის საზაფხულო ლიგაში, "სან ანტონიოსთან" ერთად, ჩაერთვება **ვიქტორ სანიკიძეც**. თუმცა ორი ქართველის ამერიკული დუელი არ შედგება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ "სპურსსა" და "დენვერს" ერთმანეთთან დაპირისპირება არ მოუწევთ. აქვე, ამ ორი გუნდის მატჩების განრიგსაც შემოგთავაზებთ.

6 ივლისი. **სან ანტონიო-ფილადელფია**; 7 ივლისი. **სან ანტონიო-კლივლენდი**; 8 ივლისი. **დენვერი-კლიპერსი**; 9 ივლისი. **სან ანტონიო-ბოსტონი**; 10 ივლისი. **დენვერი-დალასი, სან ანტონიო-გოლდენ სტეიტი**; 11 ივლისი. **სან ანტონიო-მინესოტა**; 12 ივლისი. **დენვერი-დეტროიტი**; 13 ივლისი. **დენვერი-ლეიკერსი**; 15 ივლისი. **დენვერი-ნიუ იორკი**.

ვაჟა სიმონიშვილი

ჩოგბურთი

კალაშნიკოვა უიმბლდონზე

16 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** უიმბლდონის ახალგაზრდულ ტურნირში პირველად მონაწილეობს. გუშინ გამოქვეყნებული რეიტინგის მიხედვით, 18-წლამდელ ჩოგბურთელებს შორის ქართველი მსოფლიოს 21-ე ჩოგანია. უიმბლდონზე, ელიტის თითქმის ყველა წარმომადგენელი მონაწილეობს, ამიტომ, ოქსანა ინგლისში განთესილთა შორის ვერ მოხვდა, წილისყრამ კი მას მეტოქედ 17 წლის რუსი **არინა როდიონოვა** არგუნა, რომელიც ახალგაზრდულ რეიტინგში 42-ე ჩოგანია. მატჩი ჯერ კიდევ კვირას უნდა გამართულიყო, მაგრამ ლონდონურმა წვიმამ ახალგაზრდული ტურნირის პირველი დღე მთლიანად ჩაშალა. მეტოქენი მერვე კორტზე ვერც ორშაბათს გავიდნენ, რადგან საქმეში კვლავ წვიმა ჩაერია...

გუშინ, კალაშნიკოვასა და როდიონოვას დაპირისპირება მე-15 კორტზე პირველ ნომრად დანიშნეს. მატჩის ჩამთავრებაც სწორედ ამიტომ მოესწრო. პირველი სეტი ოქსანამ ძალზე იოლად, 6:1 მოიგო. ამისთვის მას სულ რაღაც 15 წუთი დასჭირდა. მეორე სეტში ათიოდ წუთში, ანგარიში 3:2 გახდა. კალაშნიკოვა თავის მონდომებაზე 40:15-ს იგებდა, როცა რუსს მხსნელად წვიმა მოევლინა. თამაშის განახლების შემდეგ, როდიონოვამ გაიბრძოლა, მაგრამ ჩვენებურმა საქმე მაინც ბოლომდე მიიყვანა - 6:1, 6:4. კალაშნიკოვამ მეტოქეს ყველა კომპონენტში აჯობა, მან 4 ეისი ჩაგდო. ჯამში მატჩი 44 წუთს გაგრძელდა.

მეორე წრეში ოქსანას ძალზე ძლიერი მეტოქე ელის - ბრიტანელთა იმედი **ნაომი ქევედეი**, რომელიც მე-9 ნომრადაა განთესილი. ქევედეი დიდებში მსოფლიოს 232-ე ჩოგანია, მან პირველ წრეში ხორვატი **იასმინა ტინჯიჩი** დაამარცხა - 6:2, 6:1. არადა, სულ ერთი კვირის წინათ კალაშნიკოვა სწორედ ტინჯიჩმა დაამარცხა. უიმბლდონის ახალგაზრდული ტურნირის წყვილთა თანრიგში ოქსანა რუმინელ **ირინა ბეგუსთან** ერთად მე-4 ნომრადაა განთესილი. მათი მეტოქეები არიან რუმინელი **სიმონა ჰალეპი** და ჰოლანდიელი **არანჩა რუსი**.

ჩახნაშვილი მასპინძლით იწყებს

საქართველოს პირველმა ჩოგანმა **მაკა ჩახნაშვილმა** გასულ კვირას პადოვაში 25-ათასიანი ტურნირი მოიგო. მაკა კვლავ იტალიაშია. ის კუნეოს საერთაშორისო ტურნირში თამაშობს, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია. ჩახნაშვილი განთესილთა შორის ვერ მოხვდა, ის პირველ წრეში "უაილდ ქარდით" მიწვეულ იტალიელ **კორინა დენტონის** (516) შეხვდება. ჩახნაშვილი ბედს ცდის წყვილთა თანრიგშიც, სადაც ის **იულია ბეიგელზიმერსს** (უკრაინა) შეუწყვილდება.

ძირითად ბადეს ვერ უწია

ქართველმა ჩოგბურთელმა **სოფიო ქვაცაბაიამ** ვერ შეძლო სერბულ ქალაქ პროკოპიეს ტურნირის ძირითად ბადეში გაღწევა. 19 წლის ქვაცაბაია საკვალიფიკაციო ბადეში მეორე ნორმად იყო განთესილი. ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში ქვაცაბაია სერბ **ლიუბიცა ავრამოვიჩს** შეხვდა და სამ სეტში დამარცხდა - 6:4, 3:6, 4:6. ქვაცაბაია წყვილთა თანრიგში ძირითად ბადეში თამაშობდა, ლატვიელ **ალის ვაიოდერესთან** დუეტში. ისინი პირველივე წრეში დამარცხდნენ მეოთხე ნომრად განთესილებთან, ჩეხი **ბოჟოვასა** და ფინელ **ტუოჰიმაასთან** - 5:7, 4:6.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ძიუდო

ლიდერობს კედელაშვილი

27 ოქტომბერს, მინსკში ჩატარდება ევროპის გუნდური პირველობა, რომელშიც ჩვენი ვაჟთა ნაკრებიცაა მიწვეული. ტურნირში ბელარუსის, უკრაინის, რუსეთის, საფრანგეთის, პოლონეთის, უნგრეთისა და ისრაელის გუნდები გამოვლენ. სარეზერვოებში ორი ძლიერი ნაკრები დარჩა: გერმანია და ჰოლანდია.

ევროპის ძიუდოს კავშირმა ახალი მსოფლიო რეიტინგებიც გამოაქვეყნა. ის შარშანდელი სეზონისა და წლევანდელი ნახევარი წლის შედეგების მიხედვითაა შედგენილი. მსგავსი რეიტინგები ძალთა ბალანსს რეალურად ხშირად ვერ ასახავს, მაგრამ მაინც საინტერესოა. მით უფრო, რომ ქართველები, ტრადიციულად, მონინავე პოზიციებზე იმყოფებიან.

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში **ნესტორ ხერგიანი** მხოლოდ მეექვსეა, **ვახტანგ ხოსიტაშვილი** მე-18. სამაგიეროდ, ევროპის ორგზის ჩემპიონი **ზაზა კედელაშვილი** (66) რეიტინგს ლიდერობს. აქ **მინდია ხომიზური** მე-17 ადგილზეა. **დავით ქევხიშვილი** (73) 141-კაციან ჩამონათვალში ერთადერთი ქართველია და ისიც მეექვსეა. 81-შიც ორი ქართველია: **გრიგოლ მამრიკიშვილი** მეშვიდეა, **გიორგი ბაინდურაშვილი** მე-14. **ირაკლი ცირეკიძე** (90) მეორეა, 100-ში კი **ლომერ ჟორჟოლიანი** და **ლევან რაზმაძე** მეხუთე-მეექვსე ადგილებს იყოფენ. ამავე წონაში მესამე ქართველიცაა: **გიორგი ყიზილაშვილი** მე-18 ადგილით. ჩვენებურები ერთმანეთს კვალში უდგანან მძიმე წონაშიც: მეექვსეზე მყოფი **ზვიად ხანჯალიაშვილი** რამდენიმე ქულით უსწრებს **ლაშა გუჯეჯიანს**.

მაგრამ ამაზე ბევრად მნიშვნელოვანია ოლიმპიადის საკვალიფიკაციო რეიტინგი, სადაც ქართველები ასევე ლიდერობენ. მეტიც, იქ ბევრად უკეთესი მდგომარეობაა, რადგან რამდენიმემ, პრაქტიკულად, გაინაღდა საგზური. ასე მაგალითად, იგივე ხერგიანი აქ მეორეა და მცირედით ჩამორჩება სომეხ **დავთიანს**. ამ დეუტთან ყველაზე ახლოს რუსი ევროპის ჩემპიონი **კიშმახოვია**, სხვებს კი იმდენად უსწრებენ, პეკინის ოლიმპიადის საგზურები უკვე ჯიბეში უდევთ. ხოსიტაშვილი აქ მე-16, **დავით ასუმბანი** კი 36-ეა. კედელაშვილი აქ მესამეა, მაგრამ ისიც საგრძნობლად უსწრებს სხვებს. **სანდრო იაკობაშვილი** 35-ეა, ქევხიშვილი კი თავის წონაში მეხუთე გახლავთ. ყველაზე ცუდი მდგომარეობა 81-შია, სადაც ბაინდურაშვილი მხოლოდ მეათეა, **საბა გავაშელიშვილი** მე-13, **გრიგოლ შინჯიკაშვილი** 22-ე, **ლევან ნიკლაური** 27-ე. **ირაკლი ცირეკიძე** მეოთხეა, ოლიმპიური ჩემპიონი **ზურაბ ზვიადაური** მე-13. 100-ში რაზმაძე მესამეა, ჟორჟოლიანი მერვე, ყიზილაშვილი და **ნოდარ მეტრეველი** კი სხვებთან ერთად 25-30-ე ადგილებს იყოფენ. მძიმეში გუჯეჯიანი მეხუთეა, ხანჯალიაშვილი მერვე, **ადამ ოქრუაშვილი** მე-17.



ზაზა კედელაშვილი

ირაკლი თავაძე

რეიტინგი

საქართველოს

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი — ჯეოსელის თასი

წვიმამ ამჯერად გვაცალა...
...თუმც ემოციებმა გადაგვძალა

კარლო მეზურნიშვილი და გივი სამხარაძე გამარჯვებას ზეიმობენ

მარკ პერი


გაგიკ აირაპეტიანი


ირაკლი თოფურიძე და გიორგი მანჯგალაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

კვირას დასამთავრებელი "ჯეოსელის თასი", როგორც გაცნობეთ, უამინდობის გამო ორშაბათისთვის გადაიდო. სამივე ტურნირში გვარიანად დარჩენილიყო მატჩები და თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ რამდენიმე მონაწილეს ორ ფრონტზე უწევდა ჭიდილი, კარგად დამღლელი მარათონიც გამოუვიდოდათ. საერთოდ, ჩვენში მოყვარულთა და ვეტერანთა ტურნირების სიმრავლე შეინიშნება და ეს, რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა - თუ არა ასეთი ტენდენცია, საქართველოში ჩოგბურთი პოპულარობას ვერ მოიპოვებს. მადლობელნიც ვართ ორგანიზატორების - აგერ, ახლაც ორი მსგავსი ტურნირი ელით ვეტერან-მოყვარულებს და კვლავ მოიქნევენ ჩოგანს. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ერთი შენიშვნა გვაქვს და თუ ყურად იღებენ შეჯიბრებების მოთავენი, ხომ კარგი, თუ არადა, ვშიშობ, ისეთი ინციდენტები მოგვიმრავლდეს, როგორც ბოლოს დღეს ლეილა მესხის სახელობის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე მოხდა...

ამაზე ოდნავ ქვემოთ, მთავარი სათქმელი ისეთი გვაქვს, რომ რატომღაც, ტურნირებს შემჭიდროებულ ვადებში, ორ-სამ დღეში ატარებენ; კატეგორიები რამდენიმეა და მოყვარულებსაც, ყველაში თუ არა, რამდენიმეში თამაშის სურვილი უჩნდებათ. ეს კი ძალიან დიდი დატვირთვაა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, 40-60 წლის ხალხმა დღეში 4-5 და მეტი შეხვედრა გამართოს. აქ მცირე შეღავათია შემოკლებული სეტები. განსაკუთრებით, ტაი-ბრეიკის სისტემაა მიღებული - ფრენბურთის დარად, ყოველი გათამაშება ქულა ღირს, რაც შეცდომის უფლებას არ გიტოვებს, შესაბამისად, ჩოგბურთელი იზღუდება და ძირითადად შეცდომის არდაშვებაზე ფიქრობს, ეს კი, თავის მხრივ, დაღს ასვამს თამაშის სანახაობრივ მხარეს.

ნერვული დაძაბულობაც გასათვალისწინებელია. გინდა-არ გინდა, ფიზიკური დატვირთვა სერიოზული სტრესია და ხშირ შემთხვევაში, სპორტსმენი ემოციების მოთოკვას ველარ ახერხებს, გადაღლა თავისას შვრება... ვფიქრობ, უპრიანია, ვეტერანთა ტურნირებიც იმ ვადებში ჩატარდეს, როგორც წესია - მთელი კვირის განმავლობაში შეეძლოთ ძალების განაწილება და კორტებზე გამოსვლა.

ახლა ინციდენტზეც, რომელიც ნამდვილად არ მოუხდა ტურნირს, თუმც შეიძლებოდა, ყველაფრის თავიდან აცილება. საქმე ის გახლავთ, რომ ერთეულთა თანრიგში, მეოთხედფინალში, წილისყრამ ორი ფავორიტი შეახვედრა ერთმანეთს - **გივი ლაბაძე** და **თეიმურაზ ასათიანი**. ორივენი საკმაოდ გამოცდილი და კარგი ჩოგბურთელია, თუმც ლაბაძის უპირატესობა ქართველ მოყვარულებში უდავოა - მეტწილად, ის ხდება ტურნირების გამარჯვებული. ინციდენტი მათი შეხვედრის წინ, მოთელვაზე მოხდა. ასათიანმა ჩათვალა, რომ მოთელვა დიდხანს გაგრძელდა და მეტოქეს მატჩის დაწყება შესთავაზა. ლაბაძემ იუარა - მე ჯერ არ დამიმთავრებიაო. ასეთმა პასუხმა ასათიანი გაანაწყენა და ლაბაძისგან მატჩის დაწყება მოითხოვა. ლაბაძემ, თავის მხრივ, იუკადრისა მოთხოვნა და მკვახედაც უპასუხა ასათიანს... უცენზურო სიტყვა-პასუხს წაძიძგილავებაც მოჰყვა, რაც ორგანიზატორებმა უყურადღებოდ აღარ დატოვეს და ორივე მონაწილე ტურნირიდან მოხსნეს.

თავისთავად, უგულისყურო და ბავშვური რეაქციაა ორივე მონაწილეს მხრიდან და აქ არავის გამართლებას არ ვაპირებთ, მაგრამ ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ნებისმიერ ტურნირზე, მოთელვის ხანგრძლივობასა და მატჩის დაწყების დროს მთავარი მსაჯი განსაზღვრავს...

ორივე ფავორიტის გამოკლებამ მწვანე შუქი აუნთო ამერიკის საელჩოს წარმომადგენელ **მარკ პერის**, რომელიც ფინალში უბრძოლველად გავიდა, თუმც მეოთხედფინალში სერიოზული ბრძოლა გადახდა **ავთანდილ ლომიძესთან**. პერიმ 6:4 გაიმარჯვა. ფინალში მას ელოდა **ირაკლი თოფურიძე**, რომელმაც ურთულეს შეხვედრაში აჯობა **ილო ღლონტს**. 6:6-ის შემდეგ ტაი-ბრეიკში აჯობა - 10:3. შევნიშნავთ, რომ ეს 45 წელს ზემოთ ასაკის ჩოგბურთელთა შეჯიბრება იყო.

ფინალში ამერიკელს ბედი აშკარად სწყალობდა. თოფურიძემ, ფინალამდე რამდენიმე წუთით ადრე, მოყვარულ წყვილთა დასკვნითი პაექრობა ჩაატარა და დაღლილობის გამო, უარი თქვა. ასე რომ, მარკ პერი თითქმის უბრძოლველად გახდა "ჯეოსელის თასის" წლევანდელი გათამაშების ჩემპიონი. თუმც აქვე დავძენთ, რომ მისტერ პერი ჩინებული ჩოგბურთელია და მოვლენათა სხვაგვარად განვითარების შემთხვევაშიც არ იყო გამორიცხული, რომ პირველი ადგილი დაეკავებინა.

ირაკლი თოფურიძეს მოყვარულთა შორის მეწყვილედ **გია მანჯგალაძე** ჰყავდა. მათი მეტოქეები **ბესარიონ ჭიჭინაძე** და **მიხეილ ფრიდმანი** იყვნენ. შეხვედრა მეტად თვალსასეირო და სანახაობრივი გამოდგა. შიგა და შიგ, იუმორითაც შეაზავებდნენ ხოლმე ჩოგბურთელები გათამაშებებს, რითაც მაყურებელს გვარიანად ახალისებდნენ. მათ არც კოშკურაზე მჯდომი მთავარი მსაჯი **თამაზ შაფათავა** აკლებდა ხელს და ხშირად ჰომერული ხარხარიც გადაუვლიდა ხოლმე ტრიბუნებს... სიცილ-ხარხარის მიუხედავად, მატჩი ძალიან დაძაბულიც გამოდგა და მართალია, ორ სეტში მორჩა, ორივეჯერ ტაი-ბრეიკის გათამაშება გახდა საჭირო (შევნიშნავთ, რომ ნახევარფინალებიდან ჩოგბურთელები ორ, ოთხგეიმიან სეტებში ავლენდნენ გამარჯვებულებს). ორივეჯერ თოფურიძე-მანჯგალაძის წყვილმა იმარჯვა და ჩემპიონიც გახდა - 5:4, 5:4.

შერეულ წყვილებში გამარჯვება **გივი სამხარაძე-კარლო მეზურნიშვილის** ტანდემმა მოიპოვა. მათ **იური ნივნივაძისა** და **ირაკლი სვანიძის** წყვილი დაამარცხეს - 4:2, 4:2. 45 წლამდე ასაკის ჩოგბურთელებში გამარჯვებაც სტუმარს დარჩა. სომეხმა **გაგიკ აირაპეტიანმა** ისე გაიარა ტურნირი, ღირსეული წინააღმდეგობა არ შეხვედრია: მეოთხედფინალში მან **დევიდ უიმბლი** 6:0 დაამარცხა, ნახევარფინალში **გოჩა ბუჩუკურსაც** მშრალი ანგარიშით მოუგო - 4:0, 4:0; ფინალში კი **მიხეილ ბერძენაძეს** მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო - 4:1, 4:1.

ბოლოს, დაჯილდოების ცერემონიაც გაიმართა, სადაც გამარჯვებულები და პრიზიორები კომპანია "ჯეოსელის" პრიზებით გამდიდრდნენ: ჩემპიონებს მესამე თაობის მობილური ტელეფონები (სასაუბრო ბარათები) გადაეცათ, მეორეადგილოსნებს კი მხოლოდ სასაუბრო ბარათები. ჯილდოები წარმატებულთ "ჯეოსელის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა **ირმა ცქიტიშვილმა** და საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლეილა მესხმა** გადასცეს. ცერემონიის შემდეგ კი "შერატონ მეტეხი პალასში" მშვენიერი "მწვადობა" გაიმართა.

ზვიად შათირიშვილი

რაგბი

დავით ქუბრიაშვილი

ლეგიონერები

კიდევ ერთი ჩვენებური სიყვარულის ქვეყანაში

ქუბრიაშვილი მონპელიეში გადავიდა

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის სეზონებსშორისი სატრანსფერო ციებ-ცხელება დასასრულს უახლოვდება. როგორც ადრე გაცნობეთ, რამდენიმე ქართველმა მორაგბემ კლუბი შეიცვალა. ახლახან, კიდევ ერთმა ჩვენებურმა მიაშურა "სიყვარულის ქვეყანას". "ლელოს" პირველხაზელმა **დავით ქუბრიაშვილმა** კონტრაქტი გააფორმა "მონპელიესთან" (პირველი დივიზიონი), რომელშიც უკვე ორი სეზონია, საქართველოს ნაკრების მეორეხაზელი **მამუკა გორგოძე** თამაშობს.

ამასობაში, სასიკეთო ცვლილებებია მოსალოდნელი ფედერალურ დივიზიონებში მოთამაშე ქართველებისთვის. რაკილა ფედერალ 1-ის რამდენიმე კლუბს ფინანსური პრობლემები აქვს, საფრანგეთის რაგბის ფედერაციის საფინანსო კომისის გადაწყვეტილებით, მათი ადგილი, შეიძლება, **რატი ურუშაძისა** და **დიმიტრი პავლოვის** "ნიცამ", ასევე **ლევან დათუნაშვილისა** და **რევაზ გიგაურის** "მონლუსონმა" დაიკავონ.

ახლა კი, კიდევ ერთხელ გადავხედოთ საფრანგეთში მოთამაშე ქართველ ლეგიონერთა ჩამონათვალს: პირველი დივიზიონი, კლერმონი: **დავით ზირაქაშვილი, გოდერძი შველიძე, ირაკლი ჭყონია, დავით ჩიჩუა, სიმონ მაისურაძე**. ბიარიცი: **გიორგი ჟღენტი**. ბრივი: **დავით ხინჩაგიშვილი**. ბაიონი: **ავთანდილ კოპალიანი**. დაქსი: **ირაკლი გიორგაძე**. მონპელიე: **მამუკა გორგოძე, დავით ქუბრიაშვილი**. კასტრი: **აქვსენტი გიორგაძე**. ოში: **ილია ზედგინიძე**. მეორე დივიზიონი, ტულონი: **გია ლაბაძე**. ნარბონი: **გიორგი კუფარაშვილი**. ოიონაქსი: **დავით აშვეთია**. მონ დე მარსანი: **ირაკლი მაჩხანელი**. პო: **მერაბ კვირიკაშვილი**. გრენობლი: **ლევან ღვაბერიძე**. აჟენი: **გურამ კავთიძე, ანტონ ფეიქრიშვილი**. ტარბი: **იგორ ბარბაქაძე**. ორიაკი: **მალხაზ ურჯუკაშვილი**.

ბესიკ ჯანგავაძე

რაგბი. საქართველოს თასი

საპასუხო მატჩები

ლოკომოტივი-ყოჩები 2	59:0
უნივერსიტეტი-არმაზი	27:20
დინამო-რუსთავი	5:13
ყოჩები-აია	გადაიდო

ფარიკაობა

ჩვენებურები

ნატალი წავიდა, მაგრამ... რჩება

ნატალია მალლაფერიძე

ქუთაისელი მოფარიკავე **სულიკო ბოგვერაძის** შეგირდმა **ნატალია მალლაფერიძემ** სპეციალისტების ყურადღება იმთავითვე მიიპყრო, როგორც ნიჭიერმა და პერსპექტიულმა სპორტსმენმა. დაშნით ასპარეზობაში მრავალჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი და პრიზიორი, წარმატებით გამოდიოდა სხვადასხვა ტურნირებში, სწავლობდა სპორტის აკადემიაში... 2004 წლის 19 თებერვალს, გერმანიაში, მსოფლიო ჩემპიონატის დროს, მძიმე ტრავმა მიიღო და 5 თვე სარეცელს იყო მიჯაჭვული. სპორტს საბოლოოდ გამოეთხოვა, თუმცა ფარიკაობის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინა. სულიერი სიმტკიცე საქმით დაამტკიცა. ძიებამ იტალიაში ჩაიყვანა. იქ კი ბედმა ნამდვილად გაუღიმა - რომის საფარიკაო კლუბი "ჯულიო ვერნე" გულთბილად შეხვდა. 2005 წლიდან იქ დაიწყო მუშაობა. ხელი გაუმართეს და რეგიონული მწვრთნელის მომზადების კურსები წარმატებით გაიარა. ამის შემდეგ კი მეორე კლუბშიც მიიწვიეს. უკვე აღზარდა იუნიორთა ჩემპიონატის ერთი მესამე პრიზიორი დაშნით ფარიკაობაში.

ნატალია მალლაფერიძე სპორტული ჟურნალისტიკითაც სერიოზულად იყო გატაცებული. ქუთაისის ტელევიზიაში მუშაობდა, ამზადებდა გადაცემებს სპორტულ და კულტურულ თემაზე, თანამშრომლობდა "ლელოსთან". ახლა ის შვებულებაშია და რედაქციაშიც გვეწვია.

"ამ შემოდგომაზე რომში სპეციალურ მომზადებას გავივლი "მაესტროს" სტატუსის მოსაპოვებლად, რაც იმას ნიშნავს, რომ უკვე უფლება მექნება, არა თუ რეგიონული, არამედ ქვეყნის მასშტაბით ვიმუშაო მწვრთნელად", - გვითხრა ჩვენმა ყოფილმა შტატგარეშე კორესპონდენტმა. თუმცა, რატომ "ყოფილმა"? მან ახლაც გამოთქვა სურვილი უანგაროდ შეითავსოს იტალიაში "ლელოს" კორესპონდენტის ფუნქცია.

თორილი

ბოისა ვლადიმერ. დაიბადა 04.07.1981, რუსთავი. კალათბურთი (205 სმ). თამაშობდა რუსთავის "აზოტში" (1995, 96-98), თბილისის "ვითაში" (1996), სლოვენიის "პოსტოინაში" (1998-99), "სლოვანსა" (1990-01) და "ოლიმპიაში" (2001-2006), 2006/07 წლების სეზონიდან სიენის (იტალია) "მონტეპასკიშია", საქართველოს ნაკრების წევრია 1998 წლიდან. ადრიატიკის ლიგის ჩემპიონი (2002), სლოვენიის სამგზის ჩემპიონი (2002, 04, 05), მეორე (2003) და მესამე (2001) პრიზიორი; სლოვენიის თასის სამგზის მფლობელი (2002-04). სლოვენიის "ოლ სტარის" მატჩების ოთხგზის მონაწილე (2002-05). 2007 წლის 30 ივნისს ითამაშა ევროპის ნაკრებში.

მორესმოს ჩეხური გადაულახავი ბარიერი

ნიკოლ ვაიდიშოვა

გუშინ უიმბლდონზე წვიმის გამო, თამაში შვიდჯერ შეწყდა, თუმცა შვიდი შეხვედრის დასრულება მაინც მოხერხდა. რაც ყველაზე მთავარია, ესპარეზობას გამოეთიშა ქალთა ბადის შარშანდელი ჩემპიონი, ფრანგი **ამელი მორესმო**, რომელმაც სამ სეტში წააგო ჩეხ **ნიკოლ ვაიდიშოვასთან**. გუშინვე, ქალთა ბადეს კიდევ ერთი ძლიერი მოთამაშე - სერბი **ელენა იანკოვიჩი** გამოეთიშა. კაცებში კი მეორე მეოთხედფინალისტიც გაირკვა. ესაა ესპანელი **ხუან კარლოს ფერერო**, რომელმაც სამ სეტში აჯობა სერბ **იანკო ტიპსარევიჩს**.

მორესმოსა და ვაიდიშოვას შეხვედრა წვიმის გამო სამჯერ შეწყდა, რაც ბუნებრივია, ჩოგბურთელების გამოსვლის ხარისხზეც აისახა. მიუხედავად ამისა, პირველი ორი სეტი მაინც დაძაბულ პაექრობაში მიილია. ორივე ჩოგბურთელმა თითო ხელის მოგება შეძლო, მაგრამ გადამწყვეტში ჩეხმა უკანა ხაზიდან ძლიერი დარტყმების წყალობით მიაღწია უპირატესობას და პრაქტიკულად უბრძოლველად გაუსნორდა თავის ტიტულოვან მეტოქეს, რომელმაც 14 ორმაგი შეცდომითაც გაუადვილა საქმე.

"ასეთი საშინელი მატჩი კარიერაში არ მქონია. ჯერ ერთი, ისე ვერ ვითამაშე, როგორც ვისურვებდი. აპენდიციტის ოპერაციის შემდეგ, თავდაჯერება ვერაფრით აღვიდგინე. თანაც, თამაში რამდენჯერმე შეწყდა, რაც ყოველთვის რიტმიდან მაგდებდა. მოკლედ, ბევრი რამ ჩემს საწინააღმდეგოდ ერთმანეთს დაემთხვა", - განაცხადა მორესმომ, ვინც ორი თვის წინ აპენდიციტის ოპერაცია გაიკეთა და მას შემდეგ, ვერაფრით შესულა ჩვეულ ფორმაში.

აღსანიშნავია, რომ მორესმო უიმბლდონს 2001 წლის შემდეგ ასე ადრე პირველად გამოეთიშა. ისიც საინტერესოა, რომ ამ სეზონის დიდი სლემის სამივე ტურნირს ის ჩეხ ჩოგბურთელებთან მარცხდება - ავსტრალიისა და საფრანგეთის ღია პირველობები მას **ლუსი საფაროვამ** დაატოვებინა, ახლა კი ეს ვაიდიშოვამ შეძლო.

ფრანგი პირველ სეტს 4:2-ს იგებდა, როცა წვიმა წამოვიდა. თამაშის განახლების შემდეგ, 18 წლის ჩეხმა ბრეიკი უკან დაიბრუნა და სეტი ტეიბრეიკზე გადაიყვანა, სადაც მან სამი სეტ პოინტი მოიგერია და ხელიც თავად მოიგო.

მეორე სეტი კურიოზულად დაინყო. ემპაიერ **კიმ ქრეივენს** დაავინყდა, თუ რომელი ჩოგბურთელი რომელ მხარეს უნდა გაეგზავნა და ვისი მონოდების ჯერი იყო. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მან თავისი პოსტი დატოვა, მაგრამ ისე ჩანდა, კორტზე დაბრუნების შემდეგაც ვერ გაერკვია, როგორ უნდა მოქცეულიყო. მერე კი ბურთის მიმტან ბიჭს დაელაპარაკა, რის შემდეგაც ყველაფერი მოგვარდა.

საოცარია, მაგრამ მეორედ ზუსტად იმ დროს განვიმდა, როცა მორესმო კვლავ 4:2-ს იგებდა. თუმცა, ამჯერად, თამაშის განახლების შემდეგ, ფრანგმა თავისი უპირატესობა შეინარჩუნა და ოთხი გეიმის შემდეგ, სეტებში ანგარიში გაათანაბრა. გადამწყვეტ სეტში მორესმოს აღარაფერი გამოსდიოდა. მას ვერ თამაშის კიდევ ერთხელ შეწყვეტამ უშველა. შედეგიც შესაბამისი მიიღო - ფრანგი თავის ჩეხ მეტოქესთან ზედიზედ მეორედ დამარცხდა.

მეოთხედფინალში ვაიდიშოვას თამაში მოუწევს სერბ **ანა ივანოვიჩთან**, რომელმაც სამ სეტში მოუგო რუს **ნადეჟდა პეტროვას**. ივანოვიჩი მეოთხე წრემდე ისე მივიდა, ერთი სეტიც არ წაეგო, მაგრამ ამჯერად, უფრო ძლიერ მეტოქეს შეხვდა. მართალია, სერბმა თინეიჯერმა იოლად მოიგო პირველი სეტი, მაგრამ მეორე ასევე იოლად დათმო და თითქოს, მოგების შანსიც აღარ ჰქონდა. თუმცა, საფრანგეთის ღიას ფინალისტმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ვტა-ს რეიტინგის მოწინავეთა შორის დარჩენას დიდხანს აპირებს. გადამწყვეტ ხელში, ის 5:4 იგებდა და გამარჯვებამდე სამი ქულაღა აშორებდა, როცა გაწვიმდა და თამაში კვლავ შეწყდა. თუმცა ამას სერბი კალაპოტიდან არ ამოუგდია.

"ანგარიში 5:4 იყო და მე უნდა მომეწოდებინა. საშინლად ბნელოდა. ცას რომ ავხედე, იქ მხოლოდ შავი ღრუბლები დავინახე. ვიფიქრე, რომ წვიმა წამოვიდოდა. პირველი მოწოდებით ქულა ავიღე 15:0 და გავიფიქრე, რომ მოსწრება შემეძლო. მომდევნო მოწოდებაზე ქულა დავთმე და მაშინვე გაწვიმდა. ძალიან ვნერვიულობდი, ის კი აშკარად უკეთ ათამაშდა. ჰოდა, ალბათ ჩემთვის უკეთესი იყო, რომ თამაში შეწყდა. მართალი გითხრათ, ამ შეხვედრაში ძალიან გამიჭირდა. ეს არ იყო ჩემი საუკეთესო თამაში და ვიმედოვნებ, რომ მომდევნო ეტაპზე უკეთ ვითამაშებ", - განაცხადა ვაიდიშოვამ.

ტურნირის მერვე დღეს თამაშები უამინდობის გამო შვიდჯერ შეწყდა. ბოლოს რომ გადაიღო, ჩოგბურთელებს მხოლოდ 13 წუთის განმავლობაში მიეცათ თამაშის საშუალება. მერე კი ისევ დაუშვა. რა თქმა უნდა, ამინდის ჭირვეულობა, ჩოგბურთელების თამაშის ხარისხზე უარყოფითად აისახება, მაგრამ მაყურებელი მაინც მოთმინებით ელის ხოლმე თამაშის განახლებას.

სხვათა შორის, თუ მეშვიდე სათამაშო დღეს უამინდობამ ტრავმირებულ **სერენა უილიამსს** სულის მოთქმის საშუალება მისცა და ფაქტობრივად, ამით გამარჯვება მოაპოვებინა, იგივე გარემოება აშკარად არ მოქმედებს **რაფაელ ნადალის** სასარგებლოდ.

საფრანგეთის ღიას ჩემპიონმა შვედ **რობინ სოდერლინგს** გუშინწინ პირველი ორი სეტი იოლად მოუგო, მაგრამ შემდეგ, წვიმის წყალობით, რიტმიდან ამოვარდა. ჰოდა, მესამეში სოდერლინგმა ტაიბრეიკამდე მიიყვანა საქმე, სადაც თამაში კიდევ ერთხელ შეწყდა და რომ განახლდა, ნადალმა თავისი შეცდომებით, მეტოქეს თამაშის შემობრუნების საშუალება მისცა. მეოთხე სეტში სოდერლინგს ტაიბრეიკიც აღარ დასჭირვებია და სეტებში ანგარიში გაათანაბრა.

გადამწყვეტი სეტი ესპანელმა ზედიზედ ორი გეიმის მოგებით დაიწყო, მაგრამ საქმეში კვლავ ამინდი ჩაერია და კვლავ იგივე გემეორდა - სოდერლინგმა საპასუხო ბრეიკის აღება შეძლო და 4:4-ზე თამაში კიდევ ერთხელ გადაიდო. ის ალბათ დღეს დასრულდება.

ფერერო, საფრანგეთის ღიას ყოფილი ჩემპიონი და მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, თავის კარიერაში პირველად გავიდა უიმბლდონის მეოთხედფინალში, მაგრამ როგორც ჩანს, მისი წინსვლა სწორედ იქ შეწყდება, რადგან ამჯერად მის მოპირდაპირე მხარეს **როჯერ ფედერერი** დადგება.

სხვათა შორის, ფერეროს მეოთხე წრისთვის ადრე ორჯერ მიუღწევია და ორივე შემთხვევაში კორტი ნაგებულმა დატოვა. პირველად (2003 წელს) ფრანგ **სებასტიან გროჟანთან** წააგო, ორი წლის წინათ კი ფედერერთან დამარცხდა.

"კარგად ვთამაშობ, არც თავდაჯერება მაკლია და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბალახზე დასაკარგი არაფერი მაქვს. ის (როჯერი) ჩვეულებრივი ადამიანია და ისეთივე ჩოგანი უჭირავს, როგორიც მე. მოკლედ, რაც შემიძლია, ყველაფერს ვიღონებ და რა გამომივა, ამას ვნახავთ", - ასე აფასებს თავის შანსებს "მოსკიტო".

ფერერო თიხნარის სპეციალისტად ითვლება, მაგრამ თავად ამბობს, რომ მეოთხედფინალში გასვლა არ გაჰკვირვებია: *"რა თქმა უნდა, ამ სეზონში ბალახზე ჩემი გამოსვლა საუკეთესოა. ისე, ცუდად არც ადრე ვთამაშობდი, მაგრამ მეოთხე წრის გავლა არ გამომდიოდა. კენჭისყრის შედეგები რომ ვნახე, გავიფიქრე, რომ მეოთხედფინალში გასვლა შეუძლებელი არ უნდა ყოფილიყო. ახლა კი ჩემი მიზანი გამარჯვება იქნება"*!

შეგახსენებთ, რომ 2005 წელს "მოსკიტო" ავადმყოფობამ და ხშირმა ტრავმებმა გააწამა, რის გამოც, მან რეიტინგში ლამის ასეულს ქვემოთ ჩაინაცვლა. მაგრამ მონდომების და მტკიცე ნერვების წყალობით, თანდათან იბრუნებს მოწინავე პოზიციებს. ცნობისათვის, ამ სეზონში ის ორჯერ (ჰამბურგისა და მონტე კარლოს მასტერსის ტურნირებზე) შეხვდა ფედერერს და ორივეჯერ წააგო.

უამინდობამ ავსტრალიელი **ლეიტონ ჰიუიტიც** გვარიანად გააწამა, თუმცა მან მაინც შეძლო არგენტინელი **გილერმო კანიასის** დამარცხება. მათი შეხვედრა ორშაბათს დაიწყო და ზუსტად 24 საათის შემდეგ დასრულდა. თამაში თამაში მას შემდეგ გადაიდო, რაც ოზი მეჩოგნე მესამე სეტში 3:1 დაწინაურდა. მაგრამ ხანგრძლივ პაუზას ჰიუიტის შემართება არ გაუნელებია.

"ეს ჩემს კარიერაში ყველაზე ხანგრძლივი მატჩია. მეც და გილერმოსაც ამ შეხვედრაში ორი მეტოქე გვყავდა - ერთი ჩოგბურთელი, მეორე კი ამინდი. რა თქმა უნდა, როცა ერთ შეხვედრაში კორტზე შესვლა და გამოსვლა ხშირად გიწევს, მაგარი ნერვები უნდა გქონდეს, რომ ამას გაუძლო. თუ კარგი ნერვები გაქვს, გამარჯვებასაც მიაღწევ. სწორედ ასე იგებენ დიდ ტურნირებს", - განაცხადა ჰიუიტმა, ვისაც უიმბლდონი 2002 წელს აქვს მოგებული.

მერაბ ლორთქიფანიძე

ქაცები

მესამე წრე

ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 6)-გაელ მონფილსი (საფ) 6:3, 7:5, 6:3

ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალ, 16)-გილერმო კანიასი (არგ, 22) 6:4, 3:6, 6:3, 6:4

მეოთხე წრე

ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 20)-იანკო ტიპსარევიჩი (სერბ) 7:5, 6:3, 7:6(5)

ქალები

მეოთხე წრე

მარიონ ბარტოლი (საფ, 18)-ელენა იანკოვიჩი (სერ, 3) 3:6, 7:5, 6:3

ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 18)-ამელი მორესმო (საფ, 4) 7:6(6), 4:6, 6:1

სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 5)-ტამირა პაშეკი (ავსტ) 6:3, 6:2

ანა ივანოვიჩი (სერბ, 6)-ნადია პეტროვა (რუს, 11) 6:1, 2:6, 6:4

TV სპორტი

4 ივლისი. ოთხშაბათი

ORT

02:05 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. მექსიკა-ჩილე (LIVE).
04:50 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ეკვადორი (LIVE).

НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ბოლივია-პერუ.
14:05 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ვენესუელა-ურუგვაი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ჩელსი.
18:05 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 ნლების სეზონი. არსენალი-ლოკომოტივი.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ბოლივია-პერუ.
22:05 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ვენესუელა-ურუგვაი.
23:55 უკრაინის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.

SPORT 1 (უკრაინა)

06:30 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. ბაფალო-აილენდერსი.
08:10 ცურვა. Fina-ს გრან-პრი. ზაგრები. ხორვატია.
09:30 ფეხბურთი. 2006-07 ნლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-შტუტგარტი.
11:15 მინი-მოედანი.
11:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. მარია შარაპოვა-ელენა იანკოვიჩი. ბირმინგემი. ინგლისი.
13:35 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 2002-03 ნლების სეზონი. ფინალი. იუვენტუსი-მილანი.
16:25 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. კოლორადო-სოლტ ლეიკი.
18:10 ექსტრემალური სპორტი.
18:45 ფეხბურთი. 2006-07 ნლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-შალკე.
20:30 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. ატლანტა-რეინჯერსი.
22:15 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. 1966 ნელი. ევერტონი-შეფილდი.
23:50 ფეხბურთი. ევრო 2008. საფრანგეთი-უკრაინა.
00:05 ფეხბურთი. 2006-07 ნლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-შტუტგარტი.
01:50 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. მარია შარაპოვა-ელენა იანკოვიჩი. ბირმინგემი. ინგლისი.
04:00 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 2002-03 ნლების სეზონი. ფინალი. იუვენტუსი-მილანი.

EUROSPORT

10:30 ექსტრემალური სპორტი.
11:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ათენი. საბერძნეთი.
12:30 სპიდვეი. დანიის გრან-პრი.
13:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-ნლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ს. კორეა. კანადა.
14:30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-ნლამდელები). ჯგუფური ეტაპი. აშშ-პოლონეთი. კანადა.
15:45 ცხენოსნობა. მსოფლიოს საცხენოსნო თამაშები. კონკური. აახენი. გერმანია (LIVE).
18:00 ცხენოსნობა. მსოფლიო თასი. ლას ვეგასი. აშშ.
18:15 ცხენოსნობა. მსოფლიოს საცხენოსნო თამაშები. კონკური. აახენი. გერმანია (LIVE).
18:45 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-ნლამდელები). ჯგუფური ეტაპი. აშშ-პოლონეთი. კანადა.
19:45 აფროსნობა.
20:05 მულტისპორტი.
20:10 ცხენოსნობა. ფოკეების კლუბი.
20:15 მულტისპორტი.
20:20 გოლფი. US PGA-ის ტური.
21:20 გოლფი. ევროპის ტური. საფრანგეთის ღია.
21:50 გოლფ-კლუბი.
21:55 აფროსნობა.
22:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ზაგრები. ხორვატია (LIVE).
00:00 მულტისპორტი.
00:30 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
01:00 ოლიმპიზმი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია. 2014 ნლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის გამოცხადება. გვატემალა (LIVE).
03:15 აფროსნობა.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:15 მულტისპორტი.
12:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის ეროვნული ლიგა. ფინალი.
13:15 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). აშშ-ის საფეხბურთო ლიგა. რეგულარული ჩემპიონატი.
14:15 ახალი ამბები.
15:45 მულტისპორტი.
16:00 ექსტრემალური სპორტი.
17:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის ეროვნული ლიგა. ფინალი.
18:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). აშშ-ის საფეხბურთო ლიგა. რეგულარული ჩემპიონატი.
18:45 მულტისპორტი.
19:00 ავტოსპორტი. ჩემპიკარის სერია. მიმოხილვა.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 მულტისპორტი.
22:00 ახალი ამბები.
22:15 მულტისპორტი.
22:30 კრივი.
23:30 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის ეროვნული ლიგა. ფინალი.
00:30 პრო-რესტლინგი.

ფეხბურთი

კოპა ამერიკა

პერუ-ბოლივია	2:2
ვენესუელა-ურუგვაი	გვიან დასრულდა

ირლანდიის ლიგის თასი

ბო

ᲰᲝᲙᲔᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲔᲑᲘ

თავისუფალი აგენტების სატრანსფერო ბაზარზე კიდევ რამდენიმე საინტერესო გარიგება განხორციელდა.

მნიშვნელოვნად გააძლიერა შემადგენლობა "ედმონტონ ოილერზმა", რომელმაც "ნიუ იორკ რეინჯერსის" ფორვარდთან, **მიკაელ ნიულანდერთან** გააფორმა კონტრაქტი. ამ ხელშეკრულების დეტალები არ ხმაურდება.

როგორც იცით, გუშინ "რეინჯერსმა" ორი მაღალი კლასის ფორვარდი დაიმატა. გუნდში **კრის დრურისა** და **სკოტ გომესის** მისვლის შემდეგ, ხელმძღვანელობას სახელფასო ფონდის გამოსათავისუფლებლად ნიულანდერის გაშვება მოუწია.

შარშან, შვედმა ფორვარდმა 79 მატჩში 109 ქულა (26 გოლი+83 პასი) დააგროვა, ხოლო ფლეი ოფის 10 თამაშში 6 შაიბა გაიტანა და 7 საგოლე გადაცემა გააკეთა.

■ ■ ■

ვეტერანი ფორვარდი **ტოდ ბერტუცი** "დეტროიტ რედ უინგზიდან" "ანაჰაიმ დაქსში" გადავიდა. ამ ჰოკეისტმა სტენლის თასის მფლობელთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და მისი წლიური ხელფასი 4 მილიონი დოლარი იქნება.

ბერტუცი უკვე მეორე მოთამაშეა, რომელმაც "დეტროიტი" "ანაჰაიმზე" გაცვალა. ერთი დღით ადრე, "იხვების" რიგებში აღმოჩნდა ვეტერანი მცველი **მატიო შნაიდერი**.

■ ■ ■

"დეტროიტი" დატოვა ჩეხმა ფორვარდმა **რობერტ ლანგმა**. ამ უკანასკნელს ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა "ჩიკაგო ბლეკჰოქსმა". ხელშეკრულების ფინანსური დეტალები არ ხმაურდება.

ლანგმა შარშანდელ სეზონში 19 გოლი გაიტანა.

■ ■ ■

კიდევ ერთი ჩეხი ჰოკეისტი, **რომან ჰამრლიკი** მომავალი ოთხი სეზონის განმავლობაში "მონრეალ კანადიენსის" ღირსებას დაიცავს და ამ დროის განმავლობაში 22 მილიონ ევროს მიიღებს.

ამ მცველისთვის ახალ კლუბში ჩატარებული პირველივე მატჩი საიუბილეო იქნება. ჰამრლიკს NHL-ში 999 შეხვედრა და 505 ქულა დაუგროვდა.

1998 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ბოლო ორი სეზონი "კალგარი ფლეიმზის" რიგებში თამაშობდა.

■ ■ ■

გუშინ, კიდევ ერთმა ცნობილმა ვეტერანმა ჰოკეისტმა გამოიცვალა კლუბი. "კალგარიმ" ერთწლიანი კონტრაქტი დაუდო **ოუენ ნოლანს**. 44 წლის ფორვარდი გაისად 1.75 მილიონ დოლარს მიიღებს.

■ ■ ■

ერთი საინტერესო ტრანსფერი განახორციელა "ლოს ანჯელეს კინგზმა". კალიფორნიულმა კლუბმა "ოტავა სენატორზიდან" თავისუფალი აგენტის სტატუსით მცველი **ტომ პრისინგი** აიყვანა. "მეფეებმა" ჰოკეისტთან ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმეს, რომლის მიხედვითაც, პრისინგს ჯამში 11 მილიონი დოლარი ერგება.

28 წლის მცველს ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 223 მატჩი აქვს ჩატარებული, რომლის დროსაც 20 გოლი გაიტანა და 80 შედეგიანი პასი გააკეთა.

ᲜᲘᲓᲔᲠᲛᲐᲘᲔᲠᲛᲐ ᲬᲐᲡᲕᲚᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ

"ანაჰაიმ დაქსის" რიგებში სტენლის თასის მოგების შემდეგ, ამ გუნდის კაპიტანმა **სკოტ ნიდერმაიერმა** კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

კვირას, ფინალური სერიის საუკეთესო მოთამაშემ პრესკონფერენცია გამართა, სადაც შემდეგი განაცხადა: *"ეს სერიოზული გადაწყვეტილებაა. ყველაფერი კარგად მოვიფიქრე და პატიოსან სიტყვას ვიძლევი - ჰოკეიდან მივდივარ".*

"სკოტს ტელეფონით ვესაუბრე. ის დიდხანს ფიქრობდა და სპორტიდან წასვლის შესახებ გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო", - აღნიშნა "ანაჰაიმის" გენერალურმა მენეჯერმა **ბრაიან ბურკმა**.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲙᲐᲞᲝᲜᲝ ᲑᲝᲠᲝᲜᲑᲝᲔᲚᲘᲐ

"მაიამი ჰიტის" ფორვარდმა **ჯეისონ კაპონომ** კლუბი გამოიცვალა. ორი დღის წინათ ცნობილი გახდა, რომ 26 წლის კალათბურთელმა უარი განაცხადა **პატ რაილის** გუნდთან კონტრაქტის გაფორმებაზე. გუშინ კი გაირკვა, რომ კაპონომ "ტორონტო რეპტორზთან" ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, რომლის მიხედვითაც ის 24 მილიონ დოლარს მიიღებს.

კაპონომ შარშანდელ სეზონში 67 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 10.9 ქულა დააგროვა. ის 2007 წლის "ყველა ვარსკვლავის" უიქ ენდზე, სამქულიანების კონკურსის გამარჯვებული გახდა.

ᲞᲐᲜᲐᲗᲘᲜᲐᲘᲙᲝᲡᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲡ ᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲡ

ევროლიგის წლევანდელმა ჩემპიონმა, "პანათინაიკოსმა" თავის ორ წამყვან კალათბურთელთან გააგრძელა კონტრაქტი.

ბერძნული კლუბის რიგებში კიდევ ორი წელიწადი ითამაშებენ სერბი ცენტრი **დეიან ტომაშევიჩი** და საბერძნეთის ნაკრების ფლეიმეიქერი **ნიკოს ხაცივრეტასი**.

"პანათინაიკოსი" ამ ზაფხულს ახალი მოთამაშეების დამატებასაც აპირებს. კერძოდ, დაგეგმილია კონტრაქტების გაფორმება "ჰიუსტონ როკეტსის" მცველ **ვასილის სპანულისთან** და "ხუვენტუდის" ფორვარდ **რუდი ფერნანდესთან**, რომელიც ევროპის 2006 წლის საუკეთესო კალათბურთელად აღიარეს.

ᲑᲔᲨᲘᲥᲗᲐᲨᲛᲐ ᲡᲜᲐᲘ�პᲔᲠᲘ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ სეზონისთვის მნიშვნელოვნად გააძლიერა შემადგენლობა თურქეთის "ბეშიქთაშმა". ამ კლუბმა პუერტო რიკოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, მცველი **რიკ აპოდაკა** გაიფორმა.

ამ კალათბურთელმა შარშანდელი სეზონი იტალიის "სკაფატიში" გაატარა და სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მისი სტატისტიკური მაჩვენებელები ასე გამოიყურება: 19.8 ქულა, 2.9 მოხსნა, 3.2 პასი და 2.8 ჩაჭრა.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲛᲘᲡᲙᲘᲜᲐᲛ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ ᲐᲘᲠᲩᲘᲐ

ცნობილმა რუსმა ჩოგბურთელმა **ანასტასია მისკინამ** კარიერის დასრულების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო. ეს ინფორმაცია რუსეთის ჩოგბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა გაავრცელა.

მისკინამ საჩოგბურთო და სატელევიზიო კარიერას შორის არჩევანი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გააკეთა. გასულ წელს, ტრავმებით დატანჯულმა ჩოგბურთელმა ტელეარხ HTB-ზე საფეხბურთო ტოქ-შოუს წამყვანობა შეითავსა, ახლა კი, ის მთლიანად გადაერთვება ახალ პროფესიაზე.

კარიერის განმავლობაში, მისკინას WTA-ს 10 ტურნირი აქვს მოგებული. მათგან ყველაზე ღირებული ტრიუმფი 2004 წელს შედგა, როცა ნასტიამ "როლან გაროსის" ფინალში თანამემამულე **ელენა დემენტიევა** დაამარცხა და "დიდი სლემის" ტურნირი მოიგო.

NBA. ᲞᲝᲠᲢᲚᲔᲜᲓ ᲢᲠᲔᲘᲚ ᲑᲚᲔᲘᲖᲔᲠᲡᲘ

ᲝᲓᲔᲜᲘᲡ ᲝᲠᲬᲚᲘᲐᲜᲘ

ᲞᲝᲠᲢᲚᲔᲜᲓᲘ ᲩᲝᲜᲡᲘ ᲑᲘᲚᲐᲞᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲡ

"პორტლენდ ტრაილ ბლეიზერსმა" დრაფტის პირველ ნომერს, **გრეგ ოდენს** ორწლიანი ხელშეკრულება გაუფორმა. გუშინ, ეს ამბავი პროფესიული კალათბურთის მთავარ მოვლენად იქცა.

აღნიშნული კონტრაქტით, ორეგონელთა ცენტრი პირველ სეზონში 3.88 მილიონ დოლარს მიიღებს, მეორე წელს კი მისი ანაზღაურება 4.1 მილიონი იქნება. თუ გუნდი მასთან ამ კონტრაქტის გახანგრძლივებას მოისურვებს, გრეგი მესამე რეგულარულში კიდევ 4.4 მილიონს მიითვლის.

"არაჩვეულებრივი შეგრძნებაა. ახლა უკვე ოფიციალურად გავხდი ამ დიდი ოჯახის წევრი. "პორტლენდში" ძალიან ნიჭიერი მოთამაშეები არიან, თუმცა ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენი გუნდი დასავლეთშია, სადაც ფლეი ოფში გასასვლელად რეალურად თითქმის ყველა გუნდი იბრძვის. ასე რომ, ეტაპობრივად ყველაფრის დალაგებას ვეცდებით და თუ პირველივე ცდაზე ფლეი ოფში ვერ გავალთ, ნუ დაგვტუქსავთ", - განაცხადა გრეგმა, რომელიც უკვე შეუდგა გუნდთან ერთად ვარჯიშს, რაზეც უკვე მისმა თანაგუნდელებმა ისაუბრეს.

"ნამდვილი მხეცია... ყველა ბურთი თავზე გადაგვატენა, მაგრამ მისი კოზირი მხოლოდ ძალისმიერი თამაში არ არის. გრეგი ძალიან კარგად ხედავს მოედანს და რამდენიმე არაჩვეულებრივი პასიც გააკეთა. ერთ-ერთ მომენტში, როდესაც დაცვაში მეურვის გადაკეტვა ვერ მოვასწარი, უცბად საიდანღაც გაჩნდა და მაგარი ბლოკ შოტიც გააკეთა", - აღფრთოვანებულია ოდენის თამაშით მძიმე ფორვარდი **ლამარკუს ოლდრიჯი,** რომელსაც "ნიუ იორკში" **ზაკ რენდოლფის გადასვლის შემდეგ, გუნდის სასტარტო ხუთეულში მოხვედრა თითქმის გარანტირებული აქვს. დიახ, თითქმის, რადგან არსებობს კიდევ რენდოლფის გაცვლით მიღებული ჩეინინგ ფრაი, ვისაც ასაკიცა და პოტენციალიც, ამ ადგილისთვის ტოლ-სნორად ბრძოლის დიდ პერსპექტივას ანიჭებს.**

ოდენი, ოლდრიჯი და გუნდის მიერ ამ დრაფტისას აყვანილი ესპანელი **სერხიო როდრიგესი** "პორტლენდის" საზაფხულო ლიგაში თავიდანვე ჩაერთვებიან, სხვები კი მათ მოგვიანებით შეუერთდებიან. სამწვრთნელო შტაბი კიდევ ორ ახალგაზრდას, დრაფტის მეორე წრეში შეძენილ ფორვარდ **ჯოშ მაკრობერტსა** და უკანახაზელ ტაურინ გრინს დააკვირდება.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "ტრეილ ბლეიზერსი" აქტიურად ჩაერთვება თავისუფალი აგენტის, **ჩონსი ბილაპსისთვის** ბრძოლაში. ამ ფრონტზე მისი მთავარი კონკურენტები ბილაპსის ყოფილი გუნდი "დეტროიტი", "მილუოკი" და "შარლოტი" იქნებიან.

"ჩონსი ბილაპსის აყვანა ფლეი ოფში გასვლის 90-პროცენტიანი გარანტიაა. "დეტროიტს" მისი შენარჩუნება კი უნდა, მაგრამ თავად ჩონსის ატმოსფეროს შეცვლა ურჩევნია ძველ გუნდში დარჩენას. ამიტომაც, იმედი გვაქვს, რომ ჩვენს კოზირებს იდეალურად გამოვიყენებთ და მასთან გრძელვადიან კონტრაქტს გავაფორმებთ", - ამბობს "პორტლენდის" მთავარი მწვრთნელი **ნეიტ მაკმილანი.**

ზურაბ თალაკვაძე

გრეგ ოდენი პორტლენდის მაისურით

NBA. ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡ ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲘ

ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲛᲐ ᲣᲝᲚᲢᲝᲜᲘ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲐ

"ლეიკერსმა" თავისუფალი აგენტი, ფორვარდი **ლიუკ უოლტონი** შეინარჩუნა. კალიფორნიელებმა მოთამაშეს ექვსწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს, რომლის მიხედვითაც ლიუკი 30 მილიონ დოლარს მიიღებს. კონტრაქტის პირობებით გუნდიც კმაყოფილია და მოთამაშეც.

"ყველაზე მეტად "ლეიკერსში" დარჩენა მინდოდა. სხვა გუნდებისგანაც საინტერესო შეთავაზებები მქონდა, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ დავრჩი კლუბში, რომელიც ყოველთვის გვერდში მედგა", - განაცხადა კონტრაქტის გაფორმების მერე უოლტონმა.

შარშან, 27 წლის ლიუკმა კარიერაში საუკეთესო რეგულარული ჩაატარა. მისი საშუალო სტატისტიკური მონაგარი 11.4 ქულა, 5.1 მოხსნა და 4.3 შედეგიანი გადაცემა იყო. სამივე მაჩვენებლით მან კარიერის რეკორდები დაამყარა.

ნინა კონტრაქტით, ლეგენდარული **ბილ უოლტონის** შვილი სეზონში საშუალოდ 1.4 მილიონს იღებდა. მისი აყვანით ასევე "ფინიქსი", "კლიპერსი", "მინესოტა" და "ნიუ ორლეანი" იყვნენ დაინტერესებულნი. ლიუკ უოლტონს საზარდულის ტრავმის გამო, მოსამზადებელი ეტაპის დასაწყისის გამოტოვება მოუწევს.

NBA. ᲜᲘᲣ ᲝᲘᲠᲙ ᲜᲘᲥᲡᲘ

ᲐᲘᲖᲘᲐᲡ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲨᲙᲔᲑᲘ

"ნიუ იორკ ნიქსის" მთავარი მწვრთნელი და პრეზიდენტი **აიზია ტომასი** დარწმუნებულია, რომ **ზაკ რენდოლფისა** და **ედი კარრის** სახით მის გუნდს ახალი "წყვილი კოშკი", ანუ ლიგაში გამორჩეული ფორვარდ-ცენტრის ტანდემი ეყოლება.

"ზაკი სამწამიანში შეუჩერებელია, ხოლო ედიმ შარშან ძალიან დიდი პროგრესი განიცადა და წლეულსაც მოუმატებს. მათგან ჯამში საშუალოდ 38 ქულასა და ოცამდე მოხსნას ველი. ჩვენი გუნდი შემადგენლობით კონფერენციაში ერთ-ერთი საუკეთესოა. ახლა, მთავარია, წარმატებით დავასრულოთ იმ გუნდის შენება, რომლითაც "მედისონ სკვერ გარდენში" მისული "ნიქსის" ყველა გულშემატკივარი იამაყებს", - მიაჩნია აიზიას. მანვე აღნიშნა, რომ "ნიქსი" სერიოზულადაა დაინტერესებული **რაშარდ ლიუისით** და მასში ერთბაშად სამი კარგი მოთამაშის გაცვლასაც არ მოერიდება.

ზაკ რენდოლფი შარშანდელი სეზონისას "პორტლენდში" საშუალოდ 23.6 ქულასა და 10.1 მოხსნას უყრიდა ტავს, კარიმ კი ზედიზედ 24 შეხვედრაში 20 და მეტი ქულის დაგროვება მოახერხა.

შეგახსენებთ, რომ ტერმინი "წყვილი კოშკი" 80-იანი წლების დასაწყისში "ჰიუსტონში" დამკვიდრდა, სადაც სასტარტო ხეთეულში **ჰაკიმ ოლაჯუონი** და **რალფ სემპსონი** იდგნენ. ყველაზე წარმატებული "კოშკი" კი "სპურსს" ჰყავდა - **დევიდ რობინსონმა** და **ტიმ დანკანმა** ერთად ორი ჩემპიონობა მოიპოვეს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
თენგიზ გაჩიჩილაძე

დირექტორი
ჰაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბაიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
ჰაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანელიძეშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გეს�d ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცველიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხოფასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპაიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
გაძარ გაჩიჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩიჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ᵃ,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე, გარდა კვირისა